# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 8 მარტი 2005 №50 (2373) ფასი 50 თეთრი


## ზესტაფონი vs ბათუმი ვინ შეუერთდება თბილისურ ტრიოს?

დღეს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩია

2



## გორული თადარიგი მუხის ფოთლების ჩამოსაყრელად

ბორჯღალოსნებმა ვარჯიში დაიწყეს

14



## თამასა მაღლა მიდის

ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

15

# დღეს ლონდონში

## ჩელსი VS ბარსელონა

გაგაპანღურებ VS ყურებზე ხახვი არ დამაჭრა




# სამხრეთის ამომავალი ვარსკვლავი

## გიორგი ხრიკაძე ფლორიდაში ჩემპიონობს

ქართველი ჩოგბურთელი გიორგი ხრიკაძე ჯერ სასკოლო ასაკს არ გასცდენია, მაგრამ ამერიკელებისგან „სამხრეთის ამომავალი ვარსკვლავის" თიკუნი უკვე დაიმსახურა. ადრეც ვწერდით, რომ 16 წლის ხრიკაძე ფლორიდის შტატის ქალაქ ბოკარატონში კრის ევერტის სახელობის საჩოგბურთო აკადემიაში ხვეწს ოსტატობას, მისი მწვრთნელი კი მრავალი სახელოვანი მეჩოგნის აღმზრდელი ენდი ბრენდი გახლავთ.

გიორგიმ ამას წინათ ბოკარატონში ზამთრის სუპერ-სერიის 18-წლამდელთა ტურნირში იმარჯვა. წყვილთა შეჯიბრებაში ჩვენიანმა კანადელ ფილიპ ნემეცთან ერთად ჯერ რუმინულ-კორეულ წყვილს სძლია, შემდეგ კანადელ დონალდ მატსა და ამერიკელ მეტ მანისს დაახრევინა ჩოგანი, ფინალში კი ამერიკულ წყვილსაც მოუგო და ჩემპიონობაც ირგუნა.

გიორგი საქართველოს ნაკრების კანდიდატიცაა და უახლოეს მომავალში, ალბათ, სადევისთასო მატჩებშიც ითამაშებს.



გიორგი ხრიკაძე და ენდი ბრენდი



# ბომბარდირული ამბები

დინამოელმა ლევან მელქაძემ ქუთაისის „ტორპედოსთან“ ჰეთ თრიქი შეასრულა — „ტორპედოსთვის“ სამი გოლის გატანა სწორედაც რომ სასახელოა და მელქაძეც ასეთი ჩუბინობის შემდეგ ბომბარდირთა დავას 16 გოლით ლიდერობს. თუმც მხოლოდ მელქაძის ბომბარდირობაში როდია საქმე — ამ ფორვარდის გოლებით „დინამო“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ წელში გასწორდა, უხეიროდ დაწყებულ მეორე ეტაპზე პირველი ღირებული მატჩი ითამაშა

— „დინამოს“ ჩავარდნის ზუსტი მიზეზის დასახელება მიძნელდება, ყველაფერი ალბათ უფრო უიღბლობის ბრალი იყო, თუმც ვერც ჩვენს უსახურ თამაშს ავუვლით გვერდს. „ტორპედოსთან“ კი მაგრად მოვინდომეთ და ახლა ყველაფერი რიგზეა — „ტორპედოს“ დამარცხებით „დინამო“ წინსვლას იწყებს.

— „ტორპედოს“ სამი გოლი გაუტანე და ბომბარდირებში უახლოეს მდევარ გია მეგრელაძეს ორი გოლით უსწრებ — ეს პატარა ფორაა?

— ბომბარდირობაზე სერიოზულად ვფიქრობ, ორი ბურთი კი არც ისე დიდი ფორაა. რაც შეეხება, ჰეთ თრიქს, ეს ჩემთვის მესამე თუ მეოთხე იყო ეროვნულ ჩემპიონატებში.

— „დინამო“ „თბილისს“ ორი ქულით უსწრებს, თუმც ლამის ყველა გუნდის წარმომადგენლები ამბობენ, ჩემპიონი უეჭველად „დინამო“ გახდებაო — როგორ ფიქრობ, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მეტოქე, ფაქტობრივად, არ გყავთ?

— მეორე ეტაპისთვის კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ, კიდევ უფრო გავძლიერდით და, რა თქმა უნდა, ეს გასათვალისწინებელია. ჩვენ გარდა ჩემპიონატში კიდევ არიან კარგი გუნდები, თუმც ალბათ „ტორპედო“ თუ იქნება ჩვენი კონკურენტი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

— „ტორპედოსთან“ მატჩის შემდეგ გია გეგუჩაძემ ფეხბურთელებს რა გითხრათ?

— უპრინციპულესი მატჩი მოვიგეთ და მწვრთნელიც გახარებული იყო. გეგუჩაძემ შეგვაქო, ასე უნდა გავაგრძელოთო.

— ალენ ჟირესს კი ნაკრებში ერთხელაც არ გამოუძახებიხარ — ამას უსამართლობად მიიჩნევ?

— არ ვიცი, ეს რამდენად უსამართლოა, ისე კი, ნაკრების მაისურის მორგება ძალიან გამიხარდებოდა.

— ნაკრებში მოსახვედრად უცხოეთში სათამაშოდ წასვლას ხომ არ აპირებ?

— შეიძლება ასეც მოხდეს, „დინამოს“ კი კონტრაქტით მომდევნო სეზონის ბოლომდე ვეკუთვნი.

— შენი ყოფილი თანაგუნდელები, დავით კვირკველია, ჯაბა კანკავა და ლაშა სალუქვაძე რუსეთში წავიდნენ...

— რუსეთის ჩემპიონატში თამაში არ მხიბლავს, ევროპაში წასვლა მირჩევნია.

**დავით თავართქილაძე**

# მიდი, ჯონატას!

## დინამომ მეკარე ბრაზილიაში იშოვნა



თბილისის „დინამოს“ ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელიც შეემატა — 25 წლის მეკარე ჯონატას კუნეგატო. თბილისელები ახლა ბრაზილიიდან ფეხბურთელის განთავისუფლების ფურცელს ელიან და დღე-ხვალ მას საქართველოს ჩემპიონატის განაცხადშიც შეიყვანენ. შესაძლოა, ბრაზილიელმა უკვე შაბათს, „ზესტაფონთან“ მატჩისას მოირგოს „დინამოს“ მაისურა.

ჯონატას კუნეგატო თბილისში სამი კვირის წინ სამ თვისტომთან ერთად ჩამოვიდა. მის გარდა ორი ფეხბურთელი იყო, ერთიც ფიზმომზადების მწვრთნელი. „დინამოს“ თავკაცმა გია გეგუჩაძემ ბრაზილიელებს ამხანაგურ მატჩებში მისცა თავის გამოჩენის საშუალება და მხოლოდ მეკარის შესაძლებლობებმა დააკმაყოფილა, მცველი რენატო ალვეში და ფორვარდი სანტოს სილვა კი უკან გააბრუნა.

გეგუჩაძემ თანაშემწედ დაიტოვა მწვრთნელი რიკარდო როსა, ვინც თავის საქმეს, დინამოელთა ფიზიკურად მზადებას, უკვე შეუდგა.

მოკლედ, „დინამოში“ ახლა სამი ბრაზილიელიაა: რომერო, კუნეგატო და როსა.

**კობა ინასარიძე**

# აბრამიძემ ფაკელს მიაკითხა

ვერა და ვერ აიწყო კარიერა ერთ დროს საქართველოს ნაკრების მცველმა ვალერი აბრამიძემ. 26 წლის აბრამიძე მოსკოვის „სპარტაკიდან“ წასვლის შემდეგ „ხიმკიში“ ირიცხებოდა, თუმც ვერც იქ მოიკიდა ფეხი. „ქიმიკოსებმა“ ზამთრის შესვენებაზე სახელიანი ფეხბურთელები შეიმატეს და ჩვენებურიც „თამაშგარედ“ დარჩა — პაველ იაკოვენკომ აბრამიძე საჩემპიონატო განაცხადში არ შეიყვანა.

ერთი კვირის წინ აბრამიძე „ალანიაში“ ისინჯებოდა, თუმც ოსურ კლუბს თავი ვერ მოაწონა და ახლა ვორონეჟის „ფაკელში“ ცდილობს დამკვიდრებას. „ფაკელი“ რუსეთის პირველ დივიზიონში საშუალო დონის კლუბად ითვლება და წესით, აბრამიძის სამსახური არ უნდა ითაკილოს, რითაც, ალბათ ჩვენიანის საკლუბო მოგზაურობაც დასრულდება.

**ილია ნანობაშვილი**

## დავით ყიფიანის თასი

### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

ზესტაფონი. 8 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — ბათუმი (0:0)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: ს. კვარაცხელია

# სად ისინი, სად ჩვენ...

## ვინ შეუერთდება თბილისურ ტრიოს?

დღეს ზესტაფონის სტადიონი ისევ იგრგვინებს. ფეროელები საქართველოს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში „ბათუმს“ უმასპინძლებენ და აჭარული უგოლო ფრის იმერული გოლებით გამდიდრებას შეეცდებიან.

„ზესტაფონმა“ მეორე ეტაპზე მიჯრით სამი მატჩი გამართა შინ და გაზონი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აქვს. თუმც, როგორც კლუბის გენერალურმა დირექტორმა დავით აბაშიძემ გვითხრა, დღეს სტუმრებს ტალახიან მინდორს არ დაახვედრებს: „ისე დაემთხვა, რომ სამივე მატჩი ტალახში ვითამაშეთ, მაგრამ ორი დღეა, მინდორს 30 კაცი უვლის, დანარჩენს კი თამაში გვიჩვენებს. ადრე ქულაც სანატრელი თუ გვქონდა, ახლა გულშემატკივრები უპირობო სამ ქულას ითხოვენ, ხოლო თასზე გაცილებით დიდი გეგმები გვაქვს“.

თემურ მახარაძეს ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს. თანაც გამოცდილმა მწვრთნელმა გასულ ტურში ფოთის „კოლხეთთან“ რამდენიმე ლიდერი დაასვენა: გიორგი თურმანიძე, თენგიზ ჩიკვილაძე და სერგეი გუდნი განაცხადშიც არ იყვნენ, ზაზა ზირაქიშვილი სათადარიგო იყო, ზურაბ იონანიძემ, კახა ჩხეტიანმა და ზურაბ ქვაჩახიამ კი მხოლოდ ბოლო ნახევარი საათი ითამაშეს. არაა გამორიცხული, კოლხებთან ნაყოჩაღები ფორვარდი ბექა გოცირიძე დღეს სასტარტოში ვიხილოთ.

0:0 სახლაფორთო ანგარიში კია, მაგრამ „ბათუმის“ თავკაცი ამირან გოგიტიძე უდავო ფავორიტად ზესტაფონელებს თვლის. თანაც ზღვისპირელებს დააკლდებათ ტრავმირებული ნიკა გუშარაშვილი და ფორვარდი ბორის გონჩაროვი, რომელიც წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში სათადარიგო სკამიდან გააძევეს.

„სად ზესტაფონელების ამბიცია და სად ჩვენი. ისინი თასისთვის იბრძვიან, შემადგენლობაც რიგიანი ჰყავთ და გულშემატკივრების სახით „მეთორმეტე ფეხბურთელიც“ ეყოლებათ. ისე კი, ჩვენმა ერთმა გოლმა ეგებ ყველაფერი თავდაყირა დააყენოს“ — გვითხრა ამირან გოგიტიძემ.

ბათუმელები თავდასხმაში მრავლისმნახველი ლევან ხომერიკის იმედად იქნებიან, თუმც ყისმათიანი ფორვარდიც ჰყავთ — ახალგაზრდა ავთო ხარაზმა ხომ ვიტჯორჯიელებთან მოედანზე შესვლიდან წამებში გაიტანა.

მოკლედ, სათასო ნახევარფინალში გასულ სამ თბილისურ გუნდს დღეს ერთი დასავლურიც შეუერთდება...

**ილია ნანობაშვილი**

### ინგლისი

პრემიერლიგა. XXIX ტური

მანჩესტერ სიტი 0:1 ბოლტონი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIV ტური

კიოლნი 3:1 ზაარბრიუკენი

### იტალია

სერია B. XXIX ტური

ტრევიზო 3:0 ჯენოა

სერია C1/B. XXVII ტური

რიმინი 0:0 ფერმანა

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXVIII ტური

შატორუ 1:3 ლე მანი

### ბელგია

იუპილერლიგა

გადადებული მატჩი

სტანდარდი — ლუვიე გადაიდო

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXIV ტური

სეტუბალი 1:4 ბრაგა

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVIII ტური

იაბლონეცი 1:1 სლოვაცკო

ბრნო — სლავია გადაიდო

სიგმა — ლიბერეცი გადაიდო

### რუსეთი

თასის 1/8 ფინალი. I მატჩი

ალანია 0:2 ხიმკი

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი 16 მეორე

საქართველოს პროფესიული ლიგა

16 ტური

**ბორჯომი 2:0 ლოკომოტივი 2**

**საგარეჯო 3:1 მაღაროელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 16 | 13 | 1 | 2 | 44:20 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 11 | 3 | 2 | 27:9 | 36 |
| სპარტაკი | 16 | 10 | 6 | 0 | 31:15 | 36 |
| ამერი | 16 | 11 | 1 | 4 | 45:8 | 34 |
| კახეთი | 16 | 10 | 2 | 4 | 28:21 | 32 |
| დინამო 2 | 16 | 8 | 1 | 7 | 39:26 | 25 |
| ცხინვალი | 16 | 7 | 3 | 6 | 22:20 | 24 |
| ივერია | 16 | 6 | 5 | 5 | 16:17 | 23 |
| გურია | 16 | 6 | 3 | 7 | 16:23 | 21 |
| ჩიხურა | 16 | 6 | 2 | 8 | 16:20 | 20 |
| ლოკომოტივი 2 | 16 | 5 | 4 | 7 | 21:24 | 19 |
| მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 19:31 | 13 |
| რუსთავი | 16 | 4 | 1 | 11 | 18:32 | 13 |
| ოლიმპი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:27 | 13 |
| საგარეჯო | 16 | 2 | 4 | 10 | 16:40 | 10 |
| მაღაროელი | 16 | 0 | 3 | 13 | 8:48 | 3 |



რკინიგზელმა ქართველებმა სეზონი რუსეთის სუპერთასის მოგებით დაიწყეს

# გაზაფხულდა, ამჟამავიღდა ცხრილი

*გაზაფხული დადგა და ევროპაში მობურთალ ქართველ ლეგიონერთა ამქარიც დღითი-დღე იზრდება. აგერ, მაგალითად, წინა კვირაში უკრაინის ჩემპიონატი განახლდა, სადაც შვიდი ჩვენებური თამაშობს, რუსეთში კი ასათიან-აშვეთია-ღვინიანიძის „ლოკომოტივმა" სუპერთასი მოიგო...*

*მოკლედ, სალაპარაკო მოგვიმრავლდა და ჩვენც ამ უქმეების გამორჩეულ ამბებზე ვთქვათ...*

***ლევან კობიაშვილის „შალკემ" მორიგი სამი ქულა აიღო.*** გელზენკირხენელებმა „ბოხუმს" 2:0 მოუგეს და წარმატებულ სვლას აგრძელებენ. კობიაშვილი ძირითადში იყო და სრულადაც ითამაშა, „შალკე" კი ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება ლიდერ „ბაიერნს".

***გელზენკირხენელთა საჩუქარი ვერ შეირგო წყალწაღებულმა „ფრაიბურგმა".*** ერთ-ერთ კონკურენტ „ბოხუმის" მარცხს ფრაიბურგელებმაც მარცხით უპასუხეს და ბოლო, მე-18 ადგილამდე დაქვეითდნენ. ფოლკერ ფინკეს გუნდმა თასზე „ბაიერნთან" 0:7 წაგებას ახლა „მაინცთან" 0:5 მიაყოლა და ბუნდესლიგიდან გავარდნის მთავარი კანდიდატია.

***მოსკოვის „ლოკომოტივმა" სეზონი სუპერთასის მოგებით დაიწყო.*** სასიამოვნოა, რომ ამ მატჩში ***მალხაზ ასათიანმაც*** ითამაშა, ვისაც ბოლოს ტრავმა აწუხებდა, თუმც გამოჯანმრთელება მოასწრო და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე. რკინიგზელებმა დმიტრი ლოსკოვის გვიანი გოლით გატეხეს გროზნოს „ტერეკი".

***ლადო ახალაიას სუპერლიგურ დებიუტს საშველი დაადგა.*** დიდთოვლობით „შეწუხებულ" შვეიცარიაში რამდენიმე მატჩი მაინც ჩატარდა და მათ შორის „ციურიხ" — „ქსამაქსიც". ახალაია 61-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, თუმც მისმა გუნდმა გოლის გატანა მაინც ვერ შეძლო — 0:0.

***განახლებულ უკრაინის ჩემპიონატში ოდენ სამი ქართველი გამოჩნდა.*** დონეცკელმა ***გიორგი დემეტრაძემ*** შეცვლაზე ითამაშა, მეტალისტელმა ***ლაშა ჯაკობიამ*** და ტავრიელმა ***ვასილ გიგიაძემ*** კი 90-90 წუთი გაატარეს მოედანზე. საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი კანდიდატის ***ალეკო ამისულაშვილის*** დნიპროული დებიუტი ჯერაც არ შემდგარა — მწვრთნელ ევგენი კუჩერევსკის თქმით, ჩვენებურს ფორმის აღსადგენად მცირე დრო კიდევ სჭირდება.

***ლეგიონერულ მიმოხილვას კვიპროსული ამბებით დავასრულებთ.*** „ანართოსისმა" 2:1 მოუგო „პაფოსს" და სატურნირო ცხრილს კვლავაც სათავეში მოექცა. ფამაგუსტელთაგან ერთი გოლი ***კლიმენტი წიტაიშვილმა*** გაიტანა ***გიორგი ქინქლაძის*** პასით.

**კახა ზალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ატალანტა 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 1 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ბოხუმი 2:0 | 90 | | 23 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | მაინცი 0:5 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 21 | 2 | 18 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | მაინცი 0:5 | 85 | შეცვალეს | 17 | 1 | 18 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | მაინცი 0:5 | 90 | | 6 | 0 | 18 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ტრირი 0:1 | 0 | | 13 | 2 | 6 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | აუე 1:0 | 0 | | 12 | 1 | 9 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | ინვერნესი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 4 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | ინვერნესი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 14 | 0 | 1 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | როდა 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 7 |
| **რუსეთი. სუპერთასი** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ტერეკი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ტერეკი 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | ტერეკი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | შ | ქსამაქსი 0:0 | 29 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 3 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | სიონი | ს | ვოლენი — გადაიდო | 0 | | 0 | 0 | 4 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | აუსტრია 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 21 | 4 | 7 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | ეგალეო 2:0 | 90 | | 19 | 0 | 4 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | მ. ზაპოროჟიე 0:2 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 3 | 3 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | დინამო 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 13 | 1 | 8 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ზაკარპატიე 0:0 | 90 | | 16 | 7 | 10 |
| ალეკო ამისულაშვილი | დნიპრო | ს | არსენალი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| გრიგოლ ჭანტურია | ზაკარპატიე | შ | ტავრია 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 14 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | მ. დონეცკი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 3 | 12 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | შ | მ. დონეცკი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | სლავია 4:0 | 63 | შეცვალეს | 18 | 4 | 1 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | ს | ლიტექსი 0:2 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 6 |
| **თურქეთი. მეორე ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | სივასპორი 2:1 | 0 | | 6 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | პაფოსი 2:1 | 0 | | 18 | 10 | 1 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | შ | პაფოსი 2:1 | 90 | საგოლე პასი | 17 | 2 | 1 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | შ | პაფოსი 2:1 | 90 | 1 გოლი | 20 | 7 | 1 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | პაფოსი 2:1 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 1 | 1 |
| გოჩა ხოჯავა | ანართოსისი | შ | პაფოსი 2:1 | 0 | | 1 | 0 | 1 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | სალამინა 2:1 | 90 | საგოლე პასი | 20 | 5 | 10 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | ს | ომონია 0:3 | 90 | | 14 | 4 | 4 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## თქვენი ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**



*რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.*

*ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა.*

*მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს" ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა · მეორე ეტაპი
## 22 ტური მიმოხილვა

| | | |
|---|---|---|
| ტორპედო | 1:4 | დინამო |
| ლოკომოტივი | 2:0 | სიონი |
| ზესტაფონი | 2:1 | კოლხეთი |
| თბილისი | 2:1 | დილა |
| ვიტ ჯორჯია | 1:1 | ბათუმი |



# გული, ფული, სტადიონი

**ლანჩხუთის** „ევგრაფი შევარდნაძე"... წმინდა საფეხბურთო, კოხტა, მყუდრო, „გურიას" ზეობის დროს აგებული 22-ათასიანი ჩინებული სტადიონი. ქალაქისგან ოდნავ მოშორებით, გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზასთან ახლოს, მისადგომად იოლი, კონსტრუქცია მოსახერხებელი, მაგრამ ახლა გაპარტახებული, დანგრევის პირას მისული „ევგრაფი შევარდნაძე", ლანჩხუთის და მთელი გურიის საამაყო ალაგი.

დრო იყო, 15-20 წლის წინ, ეს ტრიბუნა, აგერ ფოტოზე რომ ჩანს, ხალხს ვერ აუდიოდა, მუდამ ანშლაგი, მუდამ ზეიმი... ახლი კი ჟანგიანი რკინა-ბეტონით, გაძარცვული და უმოქმედო სათავსოებით... და მიუხედავად ამისა, ლანჩხუთის „ევგრაფი შევარდნაძემ" მაინც ღირსეულად უმასპინძლა „ტორპედო" — „დინამოს".

ეს სტრიქონები კი იმ გულისტკივილით იწერება, რაც „ევგრაფი შევარდნაძეზე" ყოფნისას მივიღეთ.

პატივცემულო ფულიანებო: იქნებ, მიგეხედათ ამ არაჩვეულებრივი, გულით და სიყვარულით ნაშენები სტადიონისთვის. იქნებ, თქვენც გეხეირათ...

# დილა ტერორისტებმა იმსხვერპლეს

**გორის** „დილას" გაჭირვებაზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა. 22-ე ტურში შიდაქართლელებმა თბილისშიც ძლივს ჩამოაღწიეს, თუმც ამის მიუხედავად, ფიცხელი ბრძოლა კი გაუმართეს ლუის ცაკარიასის ბიჭებს.

„დილას" პატრონობა მხარის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა რომ ითავა, არახალია. თუმც ბედი არ გინდა? ამ ცოტა ხნის წინ გორში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა „დილას" ჯიბე გაუხვრიტა. საქმე ისაა, რომ საფეხბურთო გუნდისთვის გამოყოფილი თანხა ტერაქტით დაზარალებულთათვის დახარჯულა. რა გაეწყობა, მიზეზი ისეთია, რომ...

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 16-მელქაძე | დინამო |
| 14-მეგრელაძე | ტორპედო |
| 10-ოდიკაძე | თბილისი / დინამო |
| ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| 9-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 8-მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 14 | 3 | 5 | 45:22 | 45 |
| თბილისი | 22 | 13 | 4 | 5 | 44:26 | 43 |
| ტორპედო | 22 | 11 | 7 | 4 | 34:18 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 10 | 6 | 6 | 36:26 | 36 |
| ლოკომოტივი | 22 | 8 | 10 | 4 | 29:18 | 34 |
| ზესტაფონი | 22 | 9 | 2 | 11 | 21:38 | 29 |
| ბათუმი | 22 | 6 | 8 | 8 | 25:20 | 26 |
| კოლხეთი | 22 | 6 | 5 | 11 | 22:29 | 23 |
| სიონი | 22 | 6 | 2 | 14 | 20:46 | 20 |
| დილა | 22 | 2 | 3 | 17 | 14:47 | 9 |

### მომდევნო ტური

12 მარტი, შაბათი

კოლხეთი – ლოკომოტივი

დილა – ტორპედო

დინამო – ზესტაფონი

ბათუმი – თბილისი

სიონი – ვიტ ჯორჯია

### სიმბოლური ნაკრები

ბექა გოცირიძე — ზესტაფონი
ლევან მელქაძე — დინამო
ირაკლი სირბილაძე — ლოკომოტივი
შოთა ჯიქია — თბილისი
გიორგი ნემსაძე — დინამო
გოჩა ჯამარაული — დინამო
მიხეილ კაკალაძე — დინამო
ნუკრი მანჩხავა — ლოკომოტივი
დავით ქიქავიშვილი — დინამო
დავით ოდიკაძე — დინამო
მირზა მერლანი — ტორპედო

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

# ჩემპიონატის მიმოხილვა

უბრალოდ რომ ვილაპარაკოთ ფეხბურთზე, ალბათ ის უნდა ვთქვათ, რომ ფეხბურთი არის თამაში, რომელშიც მინდორზე მოძრაობს ბურთი.

ოღონდაც ბურთს ის თვისება აქვს, რომ თავისით არ მოძრაობს.

ბურთი კი ჰგავს დედამიწას, მაგრამ, სამწუხაროდ, არც თავისი წარმოსახვითი ღერძის და არც რაგინდარა ვარსკვლავის გარშემო არ მოძრაობს. სხვა მხრივ, ვარსკვლავს აქვს უნარი, რომ ბურთი აამოძრაოს. ალბათ ამიტომაც, ფეხბურთის ბურთი არ ჰგავს დედამიწას.

ბურთს ის თვისებაც აქვს, რომ არათუ ვარსკვლავს, სრულად ჩვეულებრივ ადამიანსაც შეუძლია, რომ მას ფეხი ჰკრას და აამოძრაოს.

ოღონდაც, არსებობს ერთი პირობა — ბურთზე ფეხის კვრა საზოგადოდ ყველას შეუძლია, მაგრამ მინდორზე რომ ბურთს ჰკრა ფეხი, უნდა იყო ფეხბურთელი.

სამწუხაროდ, ეს აუცილებელი პირობაა.

ფეხბურთელი ჰქვია ადამიანს, რომელიც ვარჯიშობს, ძალიან ბევრს ვარჯიშობს და ამ ვარჯიშით იმის მიღწევა შეუძლია, რომ მინდორზე ბურთის გაგორება შეუძლია.

ბურთის გაგორებაში კი შედის შემდეგი საკითხები: ბურთის გადაწოდება ანუ პასი თავისიანისთვის (ასეთი ათია), ბურთის მიღება და მეტოქის მოტყუება და ასევე ბურთის დარტყმა კარში (ასევე მეტოქის). ყოველივე ამას, შეიძლება ერქვას ტექნიკა. ანუ სხვანაირად, ფიზიკური ილეთების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ბურთის დასამორჩილებლად, გადასაწოდებლად და დასარტყმელად.

იმისათვის, რომ მინდორზე იმოძრაოს ბურთმა, სულაც არ არის საჭირო სირბილი.

ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ორივე გუნდი შეთანხმდება, რომ არ ირბენენ. თუ ერთი გუნდი დარბის, ხოლო მეორე არა, მაშინ მეორესაც უწევს სირბილი.

თუმცა, უფრო მოხერხებულია ხოლმე, როცა გუნდები ერთმანეთს გაუგებენ და სირბილი არ სჭირდებათ. სრულიად არ არის დამღლელი და სანერვიულო.

ფეხბურთი ვერაგი თამაშია: რომელიმე გუნდი თუ სრულიად მოულოდნელად ეცდება სირბილს, შეიძლება გოლიც გაიტანოს, რაც საერთო საქმის ღალატია. ნირწამხდარი მეორე გუნდი კი უცებ ვერ მოდის გონს ამგვარი გაუგონარი ვერაგობისგან და ეგებ თამაშიც წააგოს.

სწორედ ამ დროს საქმეში უნდა ჩაერთოს პოლიცია, რადგან გუნდებს ჰყავთ გულშემატკივრები. გულშემატკივარი არის ადამიანი, რომელიც ტრიბუნაზე ზის (თუ იგი აუშენებიათ) ან მოედნის კიდეზე დგას და გრძნობს, რომ ვიღაცას მოუტყუებია. მოტყუებული გულშემატკივარი წრფელი და მამაცური სურვილით მიიწევს მომტყუებლის დასასჯელად და პირველს გადაეყრება შავტრუსიკიან კაცს, რომელსაც ეწოდება მსაჯი.

მსაჯი ძირითადად არ მონაწილეობს თამაშში (ან მონაწილეობს, ამას გულშემატკივრისთვის მნიშვნელობა არა აქვს), მაგრამ თანამდებობით ევალება, რომ პირველს მას დაესხნენ თავს, ვინაიდან მსაჯს აქვს სასტვენი და პირველ მომტყუებლად ის თამაშის დაწყებამდევე ითვლება ტრადიციულად.

პოლიციას ევალება, რომ გულშემატკივარი არ გამოუშვას მინდორზე, რათა გუნდებს შორის ტოლსწორობა არ დაირღვეს. ოღონდაც, თუ პოლიცია წარმოადგენს მასპინძელ გუნდს, მაშინ ეს არშეშვება არ გამოსდის იმიტომ, რომ გულშემატკივარი ბევრია (თითქმის 100 კაცამდე). ასე რომ, ჯამურად მასპინძელი გუნდი გამოდის 111 კაცის ოდენობით, სტუმარი კი 12-ის (მსაჯის ჩათვლით). ამგვარი შეფარდების მიუხედავად, სტუმარი მაინც იმარჯვებს. რისი ფესვებიც ისტორიულ წარსულში უნდა ვეძებოთ, რადგან ყოველთვის ათჯერ მეტ მტერს ვუმკლავდებოდით. პოლიციელს ევალება ასევე...

უბრალოდ რომ ვილაპარაკოთ, ფეხბურთზე, მოდი, სხვა დროს ვილაპარაკოთ.

**ირაკლი გამყრელიძე**



# რას ერჩით გაბელიას?!

**ცუდი** ამბავი მოხდა შაბათს ლანჩხუთში, „ტორპედო" — „დინამოს" მატჩის შემდეგ: თამაშის წაგებით, მსაჯობით თუ ჟურნალისტური ობიექტურობით გაღიზიანებულმა ქუთაისელთა თავკაცმა ოთარ გაბელიამ სტადიონის გასახდელებთან დებოში მოაწყო, აქაოდა „სარბიელში" რას წერთ, რეებს მიედ-მოედებითო... ჯერ კამათი იყო, შემდეგ სიტყვიერი შეურაცხყოფა, რასაც ბოლოს ხელჩართული ამბავიც მოჰყვა.

ოთარ გაბელიასგან მსგავსი გამოხდომები, ემოციები და უსაფუძვლო პრეტენზიები უცხო სულაც არ არის და ამდენად დიდად არც გამკვირვებია მისი ამგვარი ქცევა.

პრობლემა სხვაა: მწვრთნელმა გაბელიამ როდემდე უნდა ატყუოს კლუბის ხელმძღვანელობა, ქომაგი და თავისი უსუსურობის შესანიღბად თითი სხვისკენ როდემდე უნდა იშვირიოს?! როდემდე უნდა ჰქონდეს პრეტენზიები მსაჯების, ფედერაცია-პროფლიგის თუ ჟურნალისტების მიმართ?! ვაგონილა, ყოველი წაგებული მატჩის შემდეგ არდანიშნულ პენალტებზე თუ „ტორპედოს" „დაწვაზე" ლაპარაკი?! რატომ არ იტყვის ერთხელ მაინც, მსაჯი ჩვენს სასარგებლოდ შეცდაო... როცა გაბელიას გუნდი წააგებს, დამნაშავე მსაჯია, როცა გუნდი მოიგებს, გაბელია ყოფილა ძლიერი მწვრთნელი... უკაცრავად და, ეს კი მაეჭვებს.

გასაკვირია, ქუთაისელი ქომაგი, ვინც ფეხბურთის ცოდნით ყოველთვის გამოირჩეოდა და „ტორპედოს" ხელმძღვანელები, რომლებსაც კლუბის მართვის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ, გაბელიას გავლენის ქვეშ ასე იოლად რად ექცევიან?!

ქუთაისელო ქომაგო, ნუთუ, ერთხელ არ გაგიჩნდა კითხვა, გაბელიას გუნდებს, მსაჯები მუდამ რატომ „ერჩიან"? იქნებ, მწვრთნელის კვალიფიკაციაა გუნდის გასაწვრთნელად არასაკმარისი, იქნებ, თავად კლუბში არის რაღაც პრობლემები და ამ ყველაფერის დასაფარად აქვს გაბელიას ემოციური პრეტენზიები ფედერაციის, მსაჯების, ჟურნალისტების მიმართ?

იქნებ, ღირდეს დაფიქრება...

**კობა ინასარიძე**

# ლანჩხუთმა დასვა წერტილი

**არც კი** ვიცი, ვის მივმართო. ოთარ გაბელიას, „ტორპედოს" გულშემატკივრებს, გია გეგუჩაძეს, „დინამოს" ქომაგებს, ყოფილ ქართველ ვარკვლავებს, იმავ 1981 წლის დიუსელდორფელებს, პროფლიგას, ფეხბურთის ფედერაციას, ფეხბურთში ფულჩამდებელ ბიზნესმენებს თუ ეკლესიაში წავიდე, სანთელი ავანთო და მამაზეციერს ვუთხრა ჩემი გულისტკივილი. ბატონებო, გასულ შაბათს, საქართველოს ორი უძლიერესი გუნდის, ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" თამაში, რომელიც ჩვენმავე ჟურნალისტებმა ერთი-ორჯერ „ბარსელონა" — „რეალის" ანალოგიით ელ კლასიკოდ თუ სუპერკლასიკოსად მოიხსენიეს, მიზეზთა გამო ნეიტრალურ მოედანზე, ლანჩხუთში ჩატარდა და სწორედ იქ ჩამოეხსნა ნიღაბი: სტადიონზე ერთი ლანჩხუთელიც არ მივიდა. იყვნენ ქუთაისელი და თბილისელი ფანები, ანუ ისინი, ვინც გულშემატკივართა საერთო რაოდენობასთან შედარებით საშინელ უმცირესობაში არიან და ეჭვია, ფეხბურთით სიამოვნებაზე მეტად სტადიონებზე ხმაურით სიამოვნებას დაეძებენ.

კი ბატონო, თავისთავად, ხმაურში ცუდი არაფერია, მაგრამ ის, რომ ვითომკლასიკო მოხმაურეთა ორი ჯგუფის გარდა კაციშვილს არ აინტერესებს, ქართული ფეხბურთის ნამდვილი ტრაგედიაა.

აი, ბატონო ოთარ, და სხვებო, რაზე უნდა ვლაპარაკობდეთ და რის გამოსასწორებლად უნდა ვმუშაობდეთ — პირველ რიგში, თქვენ უნდა მუშაობდეთ ბატონო მწვრთნელებო — თორემ მსაჯებთან და თქვენთვის არასასიამოვნო სტატიების ავტორებთან დავა და თუნდაც გაწევ-გამოწევა არაფრის მომცემია.

ყველას ჯვარი წერია და, ეს ფეხბურთი ხელში გვაკვდება, მომაკვდავს კი წამლობა უნდა და არა მის სასთუმალთან უსაგნო ემოციების გამოხატვა. ოღონდ, გაფიცებთ ყველაფერს, არ მითხრათ, რომ ლანჩხუთში ჯენიფერ ლოპესის კონცერტიც იყო და ხალხს გულმა იქით გაუწია. არა ბატონო, ლანჩხუთში ჩვეულებრივი, მოსაწყენი, უშუქო, უფულო, ალბათ არყიანი დღე იდგა და ამის მიუხედავად, თქვენს თამაშზე არავინ მოვიდა. ლანჩხუთელებმა, ბატონებო, ნიშანი დაგიწერეს, თქვენს ფეხბურთს დაუწერეს ნიშანი, თქვენ კი შეგიძლიათ ყურადღების სხვაგან გადასატანად ათასი რამ მოიგონოთ. კი ბატონო, იყოს ყველაფერი ქართული ტელეარხების და გაზეთების ბრალი. თქვენ თუ ეს დაბრალება კარგად აგაიამაშებთ, ალალი იყოს. თუ გნებავთ, მსაჯების ბრალი იყოს ტურიდან ტურში ყველა თამაშში ერთადერთი ცალი, ფინტი რომ არ კეთდება. თუ გნებავთ, სულაც მასონების კვალს დავუწყოთ ძებნა და, ვთქვათ, „ტორპედო" „ზესტაფონს" ათი ნამდვილი საგოლე მომენტიდან ერთს რომ ვერ გაუტანს, მათ ფარულ მოქმედებებს გადავაბრალოთ.

ოღონდ, ნუ იფიქრებთ, რომ „ტორპედო" ამოვიჩემე. უბრალოდ, ბოლო ისტორიებში ეს გუნდი და მისი სტადიონი გაეხვა, ასე რომ „ტორპედოსა" და „ზესტაფონის" თამაში ცოცხალი მაგალითია და მეტი არაფერი.

ხოლო რაც შეეხება ქუთაისელთა მწვრთნელს ოთარ გაბელიას, ვიხიფუ-უფრო სწორედ მოვითხოვო, ნუ დაავიწყდება, რომ ვინმე კი არა, ოთარ გაბელიაა და მთელი ერის წინაშე, ბედის ნება-სურვილით, გაცილებით მეტი მოეთხოვება, ვიდრე უსახელო ადამიანებს. ჩვენ მისთვის ტაშის კვრაში წლობით ხელის გული ავგოწვია. ასე რომ, ყველაფერი ცოტა უფრო ღრმადაა, ათწლეულებშია ფესვებგადგმული და საბრძოლო ტაშს არ უკრავდნენ მათ ვინც სძულდათ. ამას დაფიქრება უნდა.

**ილია ბაგუნაშვილი**

# ფედერაცია და მუდმივა

**საქართველო** არის ქვეყანა, სადაც მწვრთნელთა ლიცენზირებას რამდენიმე საგანი უნდა დაემატოს, მაგალითად, ეთიკა.

ამის აუცილებლობაში რამდენიმე ოდინდელი ისტორია გვარწმუნებს რამდენიმე ქართველ მწვრთნელს რომ გადახდენია, მაგრამ ამჯერად მხოლოდ უახლოეს ამბავზე უნდა დავკონკრეტდეთ.

5 მარტს „ტორპედომ" ლანჩხუთში უმასპინძლა „დინამოს" და იქ ტორპედოელთა მწვრთნელი ოთარ გაბელია კვლავ არაეთიკურად მოიქცა — ლანძღა მსაჯები, ბილწი სიტყვები არ დაიშურა და ჟურნალისტზეც კი გაიწია.

ჯერ ის ვთქვათ, რომ ქუთაისის „ტორპედო" ტრადიციული კლუბია და წესით, უნდა ანაღვლებდეს გუნდის თავკაცის არაეთიკური საქციელი, მაგრამ „ტორპედო" კერძო ორგანიზაციაა და ვერავინ აიძულებს, რაიმე გადაწყვეტილების მიღებას.

მაგრამ გაბელია მხოლოდ „ტორპედოში" როდი მუშაობს, ის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია, მეკარეები აბარია. გაბელია თითქმის სულ არის ამ თანამდებობაზე, ნაკრებში იცვლებიან მთავარი მწვრთნელები და მათი თანაშემწეები, გაბელია კი ჩვენი უპირველესი გუნდის მწვრთნელი-მუდმივაა.

რამდენიმე წლის წინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ეროვნული ჩემპიონატის მატჩი „მერანი" — „კოლხეთი" გარიგებულად სცნო. „მერანს" მაშინ გაბელია წვრთნიდა. თუმც ფეხბურთის ფედერაციას მწვრთნელის დასჯა აზრადაც არ მოსვლია.

მაგრამ ეროვნული ნაკრები ფედერაციის კი არა, მთელი საქართველოსია. ფედერაციამ კიდევ უნდა ინებოს და არაეთიკური მწვრთნელებს რაიმე მოუხერხოს. თუ ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების და საკუთარი რეპუტაცია ჩირად მაინც უღირს, ლანჩხუთში (და არა მხოლოდ) მომხდარ ინციდენტზე სერიოზულად უნდა მოსთხოვოს პასუხი გაბელიას.

ისე, ფედერაციის ქოქოლა ხშირად დაჰყრია თავზე, მაგრამ ამას ადრე დიდად არ შეუწუხებია, თუმც ახლა დრო და ვითარებაა სხვა და, როგორც უნდა იყოს, ფედერაციას ნაკრების რეპუტაციის გაფრთხილება მაინც მოუწევს.

**დავით თავართქილაძე**



**კაცი** თუ კარგი ფეხბურთელი იყო, ის ჭკვიანი და მაგარი კაცია, თუნდაც, საშუალოზე დაბალი კვალიფიკაციის მწვრთნელი იყოს. ჩვენში ასე ითვლება.

ქართველი მწვრთნელების უმრავლესობა იმდენად უფრთხილდება თავის პირად ფრიად ბუნდოვან, ამპარტავნულ ღირსებას, რომ ჰგონიათ:

სპორტული პრესა პირადად მათ წინააღმდეგ მუშაობს.

ამიტომ ისინი იქნევენ მუშტებს და ბილწსიტყვაობენ.

ყველანი არა, რა თქმა უნდა. არის გამონაკლისებიც, ვინც ასე არ იცავს იმას, რაც დასაცავი არ არის, იმიტომ რომ, არავინ უტევს. ასეთ საქმეში, წლეულს, მთავარია ქუთაისის „ტორპედოს" მწვრთნელი ოთარ გაბელია, რომლის სახელი და დიდებაც თავიდან ბოლომდე ეფუძნება იმას, რომ სწორ დროს იდგა დიდი თბილისის „დინამოს" კარში და ეს დგომა იმ დგომას კი ჰგავდა, ფელიქსი რომ იდგა ბრაზილიის ნაკრების კარში 1970 წელს, მაგრამ რა ვუყოთ...

გვიყვარს ის თბილისის „დინამო" და მისი ყველა ფეხბურთელი, თუმცა, გაბელიას ხასიათის თავისებურებებს ნამდვილად ვერ გადავაყოლებთ საკუთარ საქმეს.

თურმე ქუთაისის „ტორპედო" ის გუნდი ყოფილა, რომელიც მხოლოდ მაშინ აგებს, როცა მის წინააღმდეგ შეთქმულება მოხერხდება. მთელი საქართველო კი იმის ფიქრშია, რომ როგორმე გაბელია და მისი გუნდი გააცამტვეროს.

საერთოდ, ოთარ გაბელიას გუნდები ასეთია: ვილაცეები ნაგრავენ, ამის გამო კი ის მთელი თამაშის განმავლობაში გულშემატკივრებს მოუხმობს, მიშველეთო. ამიტომ, ქუთაისში ქვებს გესვრიან, თვითონ კი მუშტებით მოიწევს, ეს რა დამიწერეთო. გაბელია-მწვრთნელს საამაყო არაფერი აქვს გაბელია-ფეხბურთელისგან განსხვავებით. ეს კი, ჩვენი ბრალი ნამდვილად არ არის.

**ირაკლი ბამყრელიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

**იმის** შეხსენება ნამდვილად არ სჭირდება კარლო ანჩელოტის, რომ ყოველგვარი პროგნოზის მიუხედავად, „მანჩესტერ იუნაიტედს“, „სან სიროზე“ გამარჯვება და „მილანის“ მეოთხედფინალს გარეთ დატოვება შეუძლია.

ექვსი წლის წინათ, მილანელთა ამჟამინდელი მწვრთნელი „იუვენტუსს“ თავკაცობდა და მაშინ, ტურინელებმა ჯერ 1:1 ითამაშეს „ოლდ ტრეფორდზე“, საპასუხო მატჩში „დელე ალპიზე“ კი „მანჩესტერმა“ 3:2 მოიგო და „იუვეც“ ფინალს მიღმა დატოვა.

თუმცა, ახლა „მილანს“ უკეთესი პოზიცია აქვს, ვიდრე მაშინ „იუვენტუსს“ ჰქონდა. ანჩელოტის გუნდმა ერნან კრესპოს გოლით მოიგო მანჩესტერში, მაგრამ მწვრთნელი ფიქრობს, რომ მეოთხედფინალში ჯერ არ გასულა: „ის ძველი ამბავი ცხადია, კარგად მახსოვს... ახლა, საქმის მხოლოდ ნახევარია გაკეთებული“.

„მანჩესტერის“ მენეჯერი ალექს ფერგიუსონი კი ამბობს, რომ თუ მისი გუნდი „მილანს“ გაივლის, ეს უფრო დიდი მიღწევა იქნება, ვიდრე მაშინ „იუვეს“ ძლევა იყო: „ის თამაში ჩემი უდიდესი მიღწევაა, მაგრამ ეს უფრო დიდი იქნება. „მილანის“ დონეს ვგულისხმობ“.

„მილანს“ კი ფრეც ჰყოფნის, თუმცა: „ჩვენ არ ვაპირებთ მხოლოდ კარში დგომას — განაგრძობს ანჩელოტი — ეს ცუდად დამთავრდება. ვეცდებით ისე ვითამაშოთ, როგორც მანჩესტერში“.

თავისი დაცვის წყალობით, „მილანი“ ახლა საუცხოო შედეგს აჩვენებს. იანვარში ორი მატჩის წაგების შემდეგ, გუნდმა ბოლოხანს ზედიზედ შვიდჯერ მოიგო — აქედან ოთხჯერ 1:0.

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**მილანი — მანჩესტერი (1:0)**

სავარაუდო შემადგენლობები

| მილანი | მანჩესტერი |
| --- | --- |
| დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, კაკა, კრესპო | ჰოვარდი, ბრაუნი, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო, კინი, სქოულზი, ფორჩუნი, გიგზი, რუნი |
| მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი | მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი |

## დიდი ფეხბურთელების ღამე
### ალექს ფერგიუსონს მილანის დონე ხიბლავს



ალექს ფერგიუსონი კარლო ანჩელოტის გზიდან ჩამოცილებას ლამობს

გასულ უქმეებზე „ატალანტას“ წინააღმდეგ ანჩელოტიმ ზოგიერთი ფეხბურთელი დაასვენა, ძირითადში კი ერთ დროს მანჩესტერელი იაპ სტამი დააყენა დისკვალიფიცირებული კაფუს მაგივრად. ითამაშა ტრავმის გამო კარგა ხნის გამქრალმა და უკვე მოკეთებულმა პიპო ინძაგიმაც. მთავარი ტრავმა „მილანს“ ერთი აქვს — უკრაინელი სუპერმეგოლე ანდრეი შევჩენკო კვლავ არ იქნება. ასევე, ფიტნეს-ტესტს ელის კახა კალაძეც. თუ საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვერ მომჯობინდა, მის არყოფნაში ჯუზეპე პანკარო ითამაშებს.

„მანჩესტერმა“ კი ბოლო ტურში უგოლო ფრე ითამაშა „კრისტალ პალასთან“. მწყობრში მობრუნებული რუუდ ვან ნისტელროოი კი თამაშობს, მაგრამ ჯერ გოლი არ გაუტანია და საუკეთესო ფორმაშიც ვერაა. უეინ რუნი კი კვლავაც ეცდება პაოლო მალდინისა და ალესანდრო ნესტას განთქმული დუეტის გატეხვას.

„სან სიროზე“ კარში ალბათ არ იდგება როი კეროლი, რომელმაც პირველ მატჩში შეცდომა დაუშვა. ამერიკელი ტიმ ჰოვარდი სექტემბრიდან მხოლოდ სათასო თამაშებზე იდგა კარში, თუმცა, ფერგიუსონი ახლა უფრო მას ენდობა. „მანჩესტერს“ გარი ნევილი არ ეყოლება, მის ნაცვლად ვესლი ბრაუნი ითამაშებს.

„სამშაბათს დიდ ფეხბურთელთა ღამე იქნება — დასძენს ბოლოს ფერგიუსონი — მთავარია, გოლი დასაწყისშივე არ გავუშვათ. მერე კი, ვფიქრობ ხელ-ფეხიც გაგვეხსნება. სხვა გუნდებიც კარგები არიან, განსაკუთრებით „ბარსელონა“, მაგრამ ჩვენი წყვილი ყველაზე რთული მგონია“.

„სან სიროზე“ კი ყველა, 85 ათასივე ბილეთი ერთი კვირის წინ გაიყიდა და როგორც ამბობენ, თამაშს იტალიის პრემიერ-მინისტრი, იმავდროულად „მილანის“ საპატიო პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონიც დაესწრება.

**ირაკლი ბამყრელიძე**

# არმანის სახე
## კაკა ბალერონივით ვერ იცეკვებს

*ჯორჯო არმანიმ „მილანის“ ბრაზილიელი კაკა საკუთარი პროდუქციის სარეკლამო სახედ აქცია. „მილანის“ გენერალურ დირექტორ არიედო ბრაიდას კი მიაჩნია, რომ კაკას შეძენა კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი ოპერაციაა. მოკლედ, ახალგაზრდა ბრაზილიელი ნახევარმცველი მეორე სეზონს ატარებს „შავ-წითელი“ მაისურით და უკვე ძალიან პოპულარულია მილანის საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო წრეებში. კითხვა-პასუხში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, არმანის სარეკლამო სახე ამბობს, რომ ფეხბურთი ბალეტი არ არის*



**— არიედო ბრაიდა ამტკიცებს, რომ თქვენს გადასაბირებლად ბრძოლაში ბევრ ევრო-ბობოლას აჯობა. მათ შორის ინგლისური კლუბებიც იყვნენ...**

— სრულიად შესაძლებელი იყო, რომ პრემიერლიგაში გადავსულიყავი, ოღონდ, ჭორების თანახმად, „მანჩესტერ იუნაიტედში“ კი არა, „ჩელსიში“.

**— რამ შეგიშალათ ხელი?**

— „ჩელსისთან“ დაკავშირებით ასეთი ვარიანტი შემომთავაზეს — ერთი სეზონი მოსკოვის ცსკა-ში უნდა მეთამაშა, ლონდონურ კლუბში კი მერე გადამიყვანდნენ, რაც ცხადია, ვიუარე.

**— ცივი რუსული კლიმატის შეგეშინდათ?**

— არა. ბრაზილიისგან განსხვავებით, იტალიაშიც ხომ ზამთარზაფხული ერთნაირად მზიანი არ არის. ამ ზამთარს აპენინებზე განსაკუთრებით დაბალი ტემპერატურაა. ასე რომ, მოსკოვურ სიცივეს როგორღაც შევეჩვეოდი. „მილანში“ გადასვლა და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში ძალების მოსინჯვა უცბად გადავწყვიტე.

**— „მილანში“ პირველი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარეთ და გოლებიც საკმაოდ გაიტანეთ. წლევანდელი კი არც ისე კარგად აეწყო. ამაზე რას იტყვით?**

— სინდისის ქენჯნას არ ვგრძნობ. გასაგებია — ხანდახან მაკრიტიკებენ კიდეც, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია. მთავარი კი ისაა, რომ „მილანი“ იგებს. შარშანდელ სეზონთან შედარებით ნაკლები გოლი გამაქვს, სამაგიეროდ, საგოლე პასებს ვუმატე. ვფიქრობ, კვლავაც შემიძლია, ნებისმიერ მატჩს დავატყო ჩემი ხელწერა.

**— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ თქვენს გუნდს მატჩების მოგება ბოლო დროს ძალიან უჭირს, ქომაგები კი გაცილებით ლაღ, შემტევ ფეხბურთს ელიან?**

— ფეხბურთი ბალეტი არ არის, სადაც მოცეკვავეებმა მუდმივად მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა უნდა გამოავლინონ. თან მეტოქე ამის საშუალებას ყოველთვის არ მოგცემს. დღევანდელი „მილანი“ უპირველესად ხასიათით და თავდაჯერებულობითაა ძლიერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადამწყვეტი მატჩების მოგებას ვერ შევძლებდით. ლაღი თამაში, დამიჯერეთ, კვლავ დაგვიბრუნდება, იტალიაში ზამთრის მოედნებზე ბურთის გაგორება ძნელია. გაზაფხულზე კი „მილანის“ დარ ტექნიკურ გუნდს თამაში უფრო გაუადვილდება.

**— გუნდში მალე „ჩაჯექით“ და შევჩენკოსაც დაუმეგობრდით, რომელიც თქვენს შესაქებად კომპლიმენტებს არ იშურებს...**

— ანდრეი შევჩენკო დიდებული ფეხბურთელი და ბრწყინვალე ადამიანია. „ინტერთან“ დერბის წინ მთხოვა, ერთი გოლი მაჩუქეო და მეც შევუსრულე. მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ.

**— მილანურ დერბიში „ინტერის“ წინააღმდეგ უკვე ოთხჯერ ითამაშეთ და სამი გოლი გაიტანეთ. თანაქალაქელ გუნდთან პრინციპულ შეხვედრებში ასეთ შედეგიანობას რით ახსნით?**

— ალბათ, ამ შეხვედრების განსაკუთრებულობით, თან დერბის ხომ „სან სიროს“ ლეგენდარულ სტადიონი მასპინძლობს. აქაურობით თვით რონალდინიოც კი მოიხიბლა, რომელიც „კამპ ნოუზე“ თამაშობს და ჩვენ რაღა ვთქვათ? „სან სირო“ ენით გამოუთქმელი ემოციებით გვტვირთავს, მითუმეტეს, „ინტერთან“ მატჩისას. ასეთ თამაშზე ისე გავდივართ, როგორც ზეიმზე.

**— რაკი რანალდინიო ახსენეთ, „მილანში“ მისი გადასვლა რეალურია?**

— თანამედროვე ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია, ამიტომ ვერ დავიფიცებ, რომ რონალდინიო აუცილებლად „ბარსელონაში“ დაბერდება. მომავალში ის შესაძლოა, მართლაც „მილანში“ აღმოჩნდეს. რონი ხომ „სან სიროზე“ ძალიან მოიხიბლა.

**— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

— ჯერჯერობით აქ ვარ. ბედმა იმის შანსი მომცა, რომ დიად გუნდში ვითამაშო, ამიტომ ვერ დავიწუწუნებ. „მილანში“ სიხარულით მიმიღეს, სკუდეტო უკვე მოვიგე, ახლა სხვა მიზნები გვაქვს, რაც სტიმულს უფრო გვმატებს.

**— კარლო ანჩელოტიმ ერთხელ თქვა, ჩემპიონთა ლიგის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე სკუდეტოსი. ბევრი კი პირიქით ფიქრობს. თქვენ ეთანხმებით?**

— მგონი, ანჩელოტი მართალია. ჩემპიონთა ლიგაში მერვედფინალიდან ორრაუნდიანი ბრძოლა იწყება და შეიძლება, ნებისმიერი გუნდი გავარდეს. სერია A-ში კი ვითარება სხვაგვარადაა. მაგალითად, „მილანმა“ ზედიზედ ორჯერ წააგო და ჩემპიონობა ყველამ ნაადრევად „იუვენტუსს“ მიულოცა. ამის შემდეგ „იუვემ“ დაამუხრუჭა და ახლა ხედავთ, რომ პირველ ადგილზე ჩვენ ვართ. ლიგის მერვედფინალში ყველაფერს ორი თამაშის ჯამური შედეგი წყვეტს, ჩემპიონატი კი გრძელი დისტანციაა, სადაც გადასწრების შანსი გრჩება.

**— „მილანისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ საპასუხო შეხვედრას ქომაგები და სპეციალისტები განსაკუთრებულად ელიან. თქვენ რას ელით ამ მატჩისგან?**

— ჩვენ ორი კვირის წინ, „ოლდ ტრეფორდზე“ ზუსტად ის ფეხბურთი ვითამაშეთ, რომელსაც „მილანისგან“ მუდამ ელიან და ეს უმნიშვნელოვანესი თამაშიც სწორედ ამის ხარჯზე მოვიგეთ, მაგრამ ახლა სტუმრად მოგებული მატჩი უნდა დავივიწყოთ. დღევანდელი თამაში ფინალის ტოლ-სწორია. მაქსიმალური მობილიზება გვჭირდება, რადგან მეტად უხერხული მეტოქე გვყავს.

**— „მილანს“ წლეულს ჩემპიონთა ლიგისა და სკუდეტოს ერთდროულად მოგება ძალუძს?**

— ცხადია, ორივე ჯილდოზე უარს ნამდვილად არ ვიტყვით, მაგრამ ორივე ფრონტზე იმდენად დიდი კონკურენციაა, რომ ვერაფერს იწინასწარმეტყველებ. ერთი კია, საამისო პოტენციალი გვაქვს და მიზნების რეალიზებას ვეცდებით.

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი". მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

## ჩელსი — ბარსელონა (1:2)

სავარაუდო შემადგენლობები

| ჩელსი | ბარსელონა |
|---|---|
| ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, რ. კარვალიუ, გალასი, ტიაგუ, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული, დაფი, გუდიონსენი | ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, ალბერტინი, ინიესტა, დეკო, რონალდინიო, ეტოო |
| მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ | მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი |

# აბა, თერთმეტ კაცში მნახე ვინა ვარ...



ჟოზე მაურინიუ ფრანკ რაიკარდს და მის გუნდს ნამდვილად ალმაცერად უყურებს

**„სტემფორდ ბრიჯზე"** ორი მძიმეწონოსანი მწვრთნელი და მძიმეწონოსანი გუნდი ხვდება ერთმანეთს. თან ეს დაპირისპირება, ორი კვირის წინანდელი ამბიდან გამომდინარე მართლაც შეიძლება კრივს შევადაროთ — ხომ გახსოვთ „კამპ ნოუზე" მომხდარი ინციდენტი „ჩელსის" თავკაცის, ჟოზე მაურინიუს განრისხებით, „ბარსას" მწვრთნელის, ფრანკ რაიკარდის აღშფოთებით და შემდგომი, საყოველთაო სიტყვამწარეობებით?

შეგახსენებთ, რომ მაურინიუ წლების წინ „ბარსელონაში" მწვრთნელის, ბობი რობსონის თანაშემწედ მუშაობდა, ახლა კი შეიძლება ამ კლუბის წინააღმდეგ გამოთქმული არაეთიკური შენიშვნების გამო სანქციებსაც ვერ აცდეს. შენიშვნები კი ასეთი გახლდათ: მაურინიუ ამტკიცებდა, რომ „ბარსას" თავკაცი ფრანკ რაიკარდი შესვენებისას შეხვედრის მსაჯის, ანდერს ფრისკის ოთახში ერთობ საეჭვოდ შევიდა.

როგორც „ჩელსი", ასევე „ბარსელონა" თავიანთი ჩემპიონატების ლიდერები არიან, რომელთაც ამ უქმეებზე ბოლო ტურში მოიგეს და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცეს.

„ბარსამ" დაამარცხა „ოსასუნა" 1:0, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრაში მისი ქომაგობა ფრიად შეაშფოთა რონალდინიოს მორიგმა უსახურმა თამაშმა.

„რა თქმა უნდა, ამ თამაშს ვერც შევადარებ იმას, რაც ლონდონში, „ჩელსის" წინააღმდეგ გველის" — განაცხადა კატალონიელთა თავკაცმა.

„ჩელსის" წინააღმდეგ არ ითამაშებს მექსიკელი რაფაელ მარკესი, მას კუნთი გაეჭიმა. ფრანგი ლუდოვიკ ჟიული კი ზურგის ტკივილის გამო ორი მატჩის გამოტოვების შემდეგ დაუბრუნდება მოედანს.

„ჩელსი" კი ჰოლანდიელი არიენ რობენის დაბრუნებას იმედოვნებს. შეგახსენებთ, ტრავმის გამო არიენს ხუთი კვირა გაუცდა. ცხადია, დღეს არ იქნება ბარსელონაში გაძევებული კოტდივუარელი დიდიე დროგბა.

„პირველ თამაშში გაიმარჯვა იმან, ვინაც უკეთ ითამაშა — უთხრა მაურინიუმ პორტუგალიური რადიოს კორესპონდენტს — თუმცა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეტოქემ ეს მხოლოდ მაშინ შეძლო, როდესაც მოედანზე ათნი დავრჩით, ხოლო თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ, ეჭვიც არ მეპარება, ვერაფერს გახდებოდა".

**პაპუნა ძიძია**



რონალდინიომ, „ბარსელონა" „ჩელსიზე" მაგარიაო

# გოლი, გოლი... რონალდინიო ვანგაა?

**„ბარსელონას"** ბრაზილიელი პლეიმეიკერი რონალდინიო ამბობს, რომ მისი გუნდი დღეს ლონდონურ „ჩელსის" ყურებჩამოყრილს დატოვებს „სტემფორდ ბრიჯზე".

„დარწმუნებული ვარ, რომ ნახევარფინალში სწორედ ჩვენ გავალთ — აცხადებს კატალონიელთა ვარსკვლავი იმის მიუხედავად, რომ მის გუნდს მხოლოდ 2:1 მოუგია პირველ მატჩში „კამპ ნოუზე" — ეს ასპროცენტიანია. ორი კვირის წინათ, „ჩელსიმ" მძიმე თამაში შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენ უკეთესი გუნდი ვართ, აშკარად მეტს ვიმსახურებთ და ამას სამშაბათსაც დავამტკიცებთ. მერწმუნეთ, გოლს სტუმრადაც გავიტანთ".

რონალდინიოს ისიც მიაჩნია, რომ მეოთხედფინალში ვერც ერთი ინგლისური გუნდი ვერ გავა. „ჩემი აზრით, იქ „რეალი", „ბაიერნი", „მილანი" და ალბათ, „ინტერი" იქნებიან ჩვენთან ერთად" — ასეთია ბრაზილიელის პროგნოზი.

„ბარსას" მთავარმეგოლე სამუელ ეტოო უფრო საკუთარ თამაშზე ფიქრობს: „გოლი გვჭირდება, ერთი გოლი. ამ გოლიდან ოქრო გამოდნება. მე ადრე „ჩელსის" ვუნდოდი და ძალიან გამაწვალეს. ჩემს მაგივრად კი დროგბა იყიდეს. ახლა გავუტან და იმ წვალების სამაგიეროს ასე გადავუხდი. აგერ ნახავთ, ჟოზე მაურინიუ ინანებს".

კაპიტან კარლეს პუიოლს კი ასე ჰგონია: „ჩვენი დაცვა მათ თავდასხმას სჯობს, მაგრამ კარში არ ჩავდგებით. ჩვენ არ გვჯერა ასეთი ფეხბურთის. „ჩელსის" ორ სტილში შეუძლია თამაში და ორივე დახურულ ფეხბურთს ეფუძნება. ჩვენ ამას დავამარცხებთ".

**ირაკლი გამყრელიძე**



გრეგორი კუპემ თანაგუნდელებს გერმანელთა უტეხი სული შეახსენა

# სიფრთხილეს თავი არ სტკივა
## ვერდერს სტატისტიკა არ აშინებს

ლიონი. „სტად ჟერლანი". მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

## ლიონი — ვერდერი (3:0)

სავარაუდო შემადგენლობები

| ლიონი | ვერდერი |
|---|---|
| კუპე, ლ. დიატა, კრისი, ესიენი, აბიდალი, მ. დიარა, ჟუნინიო, კლემანი, გოვუ, ვილტორდი, მალუდა | რაინკე, სტალტერი, ისმაელი, ბაუმანი, პასანენი, დ. იენსენი, მანინი, ერნსტი, მიკუ, კლოზე, ნ. ვალდესი |
| მწვრთნელი: პოლ ლე გუენი | მწვრთნელი: თომას შააფი |

**ორი კვირის** წინ, „ლიონმა" „ვერდერს" ბრემენში მოუგო 3:0. იმ მატჩამდე „ლიონს" სეზონში მხოლოდ სამჯერ წაეგო — ერთი „მანჩესტერ იუნაიტედთან" (ჩემპიონთა ლიგაში), ორი კი „ლილთან" (საფრანგეთის ლიგის თასზე და ჩემპიონატში).

„ვერდერის" მაშინდელ ძლევას კი რატომღაც „ლიონის" დაუძლურება მოჰყვა. პოლ ლე გუენის გუნდი ჯერ მეორედივიზიონელ „კლერმონთან" სათასო შეხვედრაში დამარცხდა, შემდეგ „კაენთან" ტურის მატჩიც დათმო.

მოკლედ, საფრანგეთის ჩემპიონს 23 დღეში 7 შეხვედრის გამართვა მოუწია და, რასაკვირველია, ფეხბურთელები დაიღალნენ. დაღლილობამ ტრავმებიც მოიტანა — კლაუდიო კასაპა, ანტონი რეველიერი და სიდნეი გოვუ დაშავდნენ. გოვუ სადღეისოდ მზად იქნება, რეველიერი ჯერაც მკურნალობს, ხოლო კასაპას თამაში საეჭვოა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, სტატისტიკა მაინც „ლიონის" სასარგებლოდ მეტყველებს — პლეი ოფში შინ 0:3 დამარცხებულ გუნდს მომდევნო ეტაპზე არასდროს გაუღწევია.

ცხადია, თომას შააფის „ვერდერი" სტატისტიკის გამო მხარ-თეძოზე წამოწოლას არ აპირებს, მით უმეტეს, რომ გერმანული გუნდების ბრძოლისუნარიანობა საქვეყნოდაა ცნობილი. 1999 წლის ნოემბერში, უეფას თასის პირველ მატჩში, „ლიონმა" „ვერდერს" შინ 3:0 მოუგო, მაგრამ სტუმრად 0:4 დამარცხდა და გათამაშებას ჩამოშორდა. გრეგორი კუპემ ეს ამბავი თანაგუნდელებს შეახსენა, ფრთხილად უნდა ვიყოთ, დამშვიდების უფლება ჯერ არ გვაქვსო.

„ჩვენ ისე გულიანად გავიხარეთ ბრემენულ მატჩში, რომ საპასუხო შეხვედრისთვის მეტოქეს შანსი თითქმის არ დავუტოვეთ — თქვა ფლორენ მალუდამ — მათ ოთხი გოლის სხვაობით მოგება ნამდვილად გაუჭირდებათ".

ბრემენის „ვერდერმა" ბუნდესლიგის მეორე წრე საკმაოდ კარგად დაიწყო. „შალკესთან" 2:1 წაგების შემდეგ „მუსიკოსებმა" მიჯრით ხუთ თამაშში იმარჯვეს, მაგრამ გასულ უქმეებზე მიუნხენში, „ბაიერნთან" 0:1 დამარცხდნენ. მარცხის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ბრემენელებმა „ბაიერნი" მეორე ტაიმში კართან მიამწყვდიეს და 45 წუთის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ გოლის გატანას, მაგრამ მიროსლავ კლოზემ და ნელსონ ვალდესმა, ისევე, როგორც ორი კვირის წინ „ლიონთან", „ბაიერნის" კარის გასაღებს ვერ მიაგნეს. ამიტომაც განაცხადა ვალერიან ისმაელმა, გადამწყვეტ მატჩში სათანადოდ მობილიზება გვჭირსო.

„ვერდერის" ხორვატმა ფორვარდმა ივან კლასნიჩმა „ლიონთან" საშინაო შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა და გუნდს ალბათ დღესაც დააკლდება. უნგრელი კრისტიან ლისტეში სავარაუდოდ ითამაშებს, თომას შააფისთვის ყველაზე სასიხარულო კი დისკვალიფიკაციამოხდილი კაპიტნის, ფრანკ ბაუმანის დაბრუნებაა. ბაუმანი ადგილს დაცვის ცენტრში დაიკავებს, ლუდოვიკ მანინის კი ნახევარდაცვაში გაამწესებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მე, სამუელ კუფური ვამაყობ, რომ...
## აფრიკელის არსენალური ოცნება



**მიუნხენის** „ბაიერნის" განელი ცენტრალური მცველი სამუელ კუფური სეზონის ბოლოს გუნდის გამოცვლას რომ აპირებს, უკვე ძველი ამბავია. გერმანელები მასთან ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ თანხმდებიან და თავად ფეხბურთელმაც გარემოს გამოცვლა ამიტომ გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ კუფური უკვე 11 წელია, რაც „ბაიერნის" ღირსებას იცავს.

გამოცდილი მცველის უფასოდ ხელში ჩაგდების მსურველი კი ბევრია. განსაკუთრებით „ნიუკასლი" და ტურინის „იუვენტუსი" აქტიურობენ, თუმცა თავად კუფურს ლონდონის „არსენალში" სურს გადასვლა.

„მიუნხენში საკმაო ხანი გავატარე და ვფიქრობ, ახლა ცვლილებების ჟამი დადგა. თუმც შემიძლია ვიამაყო, რომ მე, აფრიკელმა ფეხბურთელმა, ამდენი დრო გავატარე ასეთ სახელოვან კლუბში. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ კარიერას ინგლისში ან იტალიაში გავაგრძელებ. პირადად მე „არსენალში" გადასვლა მინდა. ეს გუნდი ძალიან მომწონს, არსენ ვენგერი კი დიდებული მწვრთნელია, თანაც „მეთოფეთა" რიგებში ჩემს უმცროს ძმასაც უთამაშია, ხოლო მეუღლე ლონდონშია გაზრდილი, სადაც უამრავი მეგობარი გვყავს. იქ თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობ" — დასძენს 28 წლის კუფური.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ხვალ, „ჰაიბერიზე" ერთმანეთს სწორედ „ბაიერნი" და „არსენალი" ხვდებიან და კუფურმა მოკლე კომენტარი ამაზეც გააკეთა — მიუნხენში გატანილმა გოლმა ლონდონელებს შანსი დაუტოვა და წყალი არ გაუვა, მძიმე ბრძოლა გველისო.

**გიორგი ძაძამაძე**

# ქანჩი თოვლში
## ბარტეზმა რკინა იპოვა



**საფრანგეთის** ჩემპიონატის გასული ტურის ბოლო მატჩში „სენტ ეტიენმა" 2:0 მოუგო „მარსელს", რომელიც გამარჯვების შემთხვევაში „ლიონთან" სხვაობას შეამცირებდა. მარსელელთა მთავარმეკარე ფაბიენ ბარტეზმა კი გვარიანად დათოვლილ მოედანზე თამაში და წითელი ბურთის დევნა იუარა. მან ადგილი ახალგაზრდა ჟერემი გავანონს დაუთმო და გამოუცდელმა ყმაწვილკაცმა ორი გოლი გაუშვა.

მოკლედ, ფაბიენ ბარტეზი მატჩისწინა მოთელვაზე გუნდთან ერთად გავიდა, მაგრამ მერე რაღაც ჭიამ შეუღიტინა და ცხვირაბზუებული მსაჯებთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ გასახდელში ჩავიდა, ჩემს მაგივრად გავანონი ათამაშეთ, მე თოვლზე სრიალი არ მინდაო. მსაჯებს კი ეს უთხრა: „ასეთ მოედანზე ბუცებით კი არა, ციგურებით უნდა გამოდიოდნენ. აქ თამაში შეუძლებელია. ამ მატჩის პირდაპირ ეთერში გადაცემა დაგეგმილი რომ არ იყოს, ვიცი, უეჭველად გადადებდით".

მოგვიანებით ჟურნალ „ეკიპთან" საუბარში მეკარემ განაცხადა, მოთელვისას მასპინძელთა ქომაგმა ქანჩი ზურგში მომარტყა, თუმც თამაში ამის გამო არ მიუარებია, ასეთი რამ ჩვენს ჩემპიონატში ისედაც ხშირად ხდებაო.

ასეა თუ ისე, უბარტეზობამ „მარსელზე" ალბათ გარკვეულწილად იმოქმედა, საბოლოოდ ხომ მისმა გუნდმა სამი ქულა დაკარგა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## არგენტინა
### კლაუსურა. IV ტური

ლანუსი — ველესი 1:2; ოლდ ბოიზი — კოლონი 1:1; სან ლორენსო — ინდეპენდიენტე 2:4; არსენალი — ბანფილდი 2:1; ესტუდიანტესი — არგ. ხუნიორსი 1:3; რივერ პლეიტი — ინსტიტუტო 3:1; რასინგი — ბოკა ხუნიორსი 1:0; ოლიმპო — ხიმნასია 1:0; ალმაგრო — როსარიო 1:4; კილმესი — ურაკანი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსარიო | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| რივერ პლეიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:6 | 10 |
| რასინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 |
| კილმესი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:1 | 7 |
| ლანუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| არგ. ხუნიორსი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ესტუდიანტესი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ოლდ ბოიზი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:1 | 6 |
| ოლიმპო | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ხიმნასია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ინდეპენდიენტე | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| ველესი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ინსტიტუტო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| სან ლორენსო | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 | 3 |
| ალმაგრო | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| ბანფილდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| კოლონი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |
| ურაკანი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

## გერმანია
### თასის ნახევარფინალის წილისყრა

არმინია — ბაიერნი
შალკე — ვერდერი

*მატჩები გაიმართება 19-20 აპრილს*

## უკრაინა
### უმაღლესი ლიგა XVII ტური

ზაკარპატია — ტავრია 0:0; კრივბასი — ილიჩევეცი 0:0; მეტალისტი — დინამო 0:2; არსენალი — დნიპრო 1:2; მეტალურგი (ზ) — მეტალურგი (დ) 2:0; შახტარი — ვოლინი 3:1; ობოლონი — ჩერნომორეცი 1:1. ბორისფენი — ვორსკლა გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 17 | 15 | 0 | 2 | 35:9 | 45 |
| დინამო | 17 | 14 | 2 | 1 | 37:7 | 44 |
| მეტალურგი (დ) | 17 | 11 | 2 | 4 | 25:17 | 35 |
| დნიპრო | 17 | 8 | 5 | 4 | 23:19 | 29 |
| ვოლინი | 17 | 8 | 4 | 5 | 23:20 | 28 |
| ჩერნომორეცი | 17 | 8 | 3 | 6 | 18:14 | 27 |
| მეტალისტი | 17 | 6 | 2 | 9 | 18:25 | 20 |
| ილიჩევეცი | 16 | 5 | 5 | 6 | 24:23 | 20 |
| არსენალი | 16 | 5 | 5 | 6 | 18:23 | 20 |
| ტავრია | 17 | 5 | 4 | 8 | 13:18 | 19 |
| კრივბასი | 17 | 4 | 7 | 6 | 12:17 | 19 |
| მეტალურგი (ზ) | 17 | 3 | 8 | 6 | 12:18 | 17 |
| ვორსკლა | 16 | 4 | 3 | 9 | 8:17 | 15 |
| ზაკარპატია | 17 | 2 | 6 | 9 | 11:21 | 12 |
| ობოლონი | 17 | 2 | 6 | 9 | 9:22 | 12 |
| ბორისფენი | 15 | 0 | 7 | 8 | 6:18 | 7 |

## დანია
### თასის 1/2 ფინალი პირველი მატჩები

სკიოლდი 0:2 ბრონდბიუ
ფრემადი 1:3 კოპენჰაგენი

## იაპონია
### ჯეი ლიგა. 1 ტური

ნაგოია — იჩიჰარა 2:2; ურავა — კაშიმა 0:1; გამბა — ომია 0:2; შიმიცუ — ჰიროშიმა 1:1; ოიტა — ვერდი 1:2; იოკოჰამა — ივატა 0:1; ტოკიო — ნიიგატა 4:0; კობე — სერეზო 3:1; კაშივა — კავაზაკი 1:1

## სლოვენია
### სი მობილ ლიგა. XVIII ტური

კოპერი — მარიბორი 1:3; ლიუბლიანა — პრიმორიე 3:0; ნოვა გორიცა — ბელა კრაინა 1:1; ზაგორიე — ოლიმპია 2:2; პუბლიკუმი — მურა 2:0. პტუი — დომზალე გადაიდო

## ხორვატია
### ნაციონალ ლიგა. XX ტური

კამენი — ზადარი 2:0; პულა — სლავენი 2:0; მედიმურიე — დინამო 1:3; ზაგრები — ოსიეკი 1:0; ჰაიდუკი — ვარტექსი 3:1; ინტერი — რიეკა 2:2

## მექსიკა
### კლაუსურა. VIII ტური

უნამი — ატლასი 3:2; ატლანტე — კრუზ ასული 2:0; პაჩუკა — ტიგრესი 1:1; ტოლუკა — ვერაკრუსი 1:1; მონტერეი — პუებლა 4:1; ხაგუარესი — ტეკოსი 1:1; მორელია — ამერიკა 1:1; გვადალახარა — დორადოსი 1:1; ნეკაქსა — სანტოსი 4:2

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80




**რუსული** „სპარტაკი" პრაღის „სპარტას" 25 წლის ფეხბურთელ რადოსლავ კოვაჩით გაძლიერდება. იგი უახლოეს დღეებში სამედიცინო შემოწმებას გაივლის და თავის ახალ კლუბთან კონტრაქტსაც გააფორმებს, რომლის პირობებიც ჯერჯერობით უცნობია. ჭორების თანახმად, კოვაჩის ფასი 4 მილიონი ევროა. გარდა ამისა, მოსკოველები ორი ავსტრიელი ფეხბურთელით — შტეფან ჰოფმანითა და ემანუელ პოგატეცითაც არიან დაინტერესებულნი.

**ინგლისურმა** „ბირმინგემმა" გადაწყვიტა, ურუგვაელი თავდამსხმელი ვალტერ პანდიანი ბოლომდე გამოისყიდოს. ბირმინგემელთა ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში „დეპორტივოსთან" ყველა დეტალის მოგვარებას შეეცდება. „ვფიქრობ, მას მოსწონს პრემიერლიგაში თამაში. აქ ზუსტად მის სასურველ სტილში ბურთაობენ. ამიტომ არა მგონია, შეთანხმება გაგვიჭირდეს" — თქვა ინგლისელთა თავკაცმა სტივ ბრიუსმა.

**სერბული** „პარტიზანის" კაპიტანი საშა ილიჩი მომავალ სეზონში ევროთასების საწყის ოთხ შეხვედრას გამოტოვებს. მან უეფას თასზე, უკრაინულ „დნიპროსთან" საპასუხო შეხვედრაში ერთ-ერთ მეტოქე ფეხბურთელს სახეში განგებ შეაფურთხა, რაც ვიდეოკამერებს არ გამორჩენიათ.

**ესპანური** „რეალი" „პალერმოს" ცენტრალურ მცველ ანდრეა ბარძალით დაინტერესდა. მას თვალი მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა არიგო საკიმ დაადგა. აღსანიშნავია, რომ 22 წლის სიცილიელს კიდევ ორი გრანდი უტრიალებს — კატალონიური „ბარსელონა" და ლონდონური „ჩელსი".

**ჰოლანდიური** „აიაქსი" ისევ უმწვრთნელოდაა, თუმც ამბობენ, უკვე გადაწყვეტილია, რომ ამსტერდამელებს მიქაელ ლაუდრუპი ჩაიბარებსო. იგი ამჟამად დანიურ „ბრონდბიუს" უდგას სათავეში, მაგრამ თანახმაა, კონტრაქტი გააბათილოს და „აიაქსის" მწვრთნელი გახდეს.

**ინგლისურმა** „ჩელსიმ" ბერგამოს „ატალანტას" ორი პერსპექტიული მოთამაშე ამოიღო მიზანში — 17 წლის მცველი მიკელე რონალდი და 16 წლის ფორვარდი კრისტიან ტრიბონი. „ჩელსის" ხელმძღვანელობა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან წინასწარი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს, რადგანაც ახალი წესების თანახმად, სანამ მოთამაშე 18 წლის არ გახდება, კლუბს მისი ყიდვა არ შეუძლია.

**იტალიური** „რომას" ფორვარდმა ანტონიო კასანომ განაცხადა, „რეალში" თამაში ყოველთვის მინდოდაო. „რეალი" დიდი კლუბია და მისი მაისურის მორგებაზე ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს. ამ სიაში კი მე ერთ-ერთი პირველი ვარ. რა იქნება მომავალში, ჯერ არ ვიცი, მაგრამ თუ „რომა" ოდესმე დავტოვე, ინგლისში გადასვლას, ესპანეთში თამაში მირჩევნია" — განმარტავს კასანო.

**ინგლისური** „არსენალი" მომავალ ზაფხულს რამდენიმე ძვირადღირებული ფეხბურთელის შეძენას გეგმავს. ბრიტანული პრესის ცნობით, ერთ-ერთი მათგანი მაიკლ ოუენია, რომელთანაც მოლაპარაკება უკვე დაწყებული ყოფილა. „ჩვენ ძალიან ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გვყავს, მაგრამ ისინი საკმაოდ ახალგაზრდები არიან. ამიტომ მომავალი სეზონისთვის რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს დავამატებთ" — განაცხადა „არსენალის" თავკაცმა არსენ ვენგერმა.

**რუსულმა** ცსკა-მ მაინც მიაღწია მიზანს და ბრაზილიელი ფორვარდი დუდუ შეიძინა. არმიელებმა ფრანგულ „რენს" მის სანაცვლოდ 4,5 მილიონი დოლარი გადაუხადეს. „დუდუს დიდი ხანია, ვაკვირდებოდით და ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს გვინდოდა მისი ყიდვა, მაგრამ დრო აღარ გვეყო. საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი მოგვარდა. დუდუ უკვე შევიყვანეთ კიდეც საჩემპიონატო განაცხადში" — განაცხადა მოსკოველთა პრეზიდენტმა ევგენი გინერმა.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი" კვლავაც კვალიფიციური მეკარის ძიებაშია. „წითელი ეშმაკები" ამჯერად „მილანის" სათადარიგო გოლკიპერ კრისტიან აბიატის მიადგნენ, თუმც „მანჩესტერის" მთავარ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს „როსონერის" შეფთა მიერ დასახელებული თანხა სიცილად არ ეყო და აღნიშნა, თუ იტალიელები ფასს არ დაუწევენ, ტრანსფერზე ფიქრიც ზედმეტიაო. მილანელებს აბიატი, არც მეტი, არც ნაკლები, 7,2 მილიონ გირვანქად ეთმობათ.

**მაკედონიის** ნაკრების მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სლობოდან სანტრაჩი დაინიშნა. 58 წლის სერბმა სპეციალისტმა მაკედონიის ფეხბურთის ფედერაციასთან 2008 წლამდე გააფორმა კონტრაქტი და ამ ქვეყნის ისტორიაში პირველი უცხოელი მწვრთნელი გახდა. შეგახსენებთ, რომ სანტრაჩს ყველაზე დიდი წარმატებით სწორედ სანაკრებო დონეზე უმუშავია — მისი თავკაცობით იუგოსლავიის ნაკრებმა ჩატარებული 42 მატჩიდან 26 მოიგო.

**იტალიური** „მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ განაცხადა, როცა პაოლო მალდინი დიდი ფეხბურთიდან წავა, კაპიტნის სამკლავურს მე არ მოვირგებო. „ვფიქრობ, „მილანის" კაპიტნობას მომავალში ანდრეი შევჩენკო იმსახურებს. სწორედ „შევაა" ჩვენი გუნდის ნამდვილი ლიდერი, მას ყველანი ძალიან დიდ პატივს ვცემთ. მე კი ამხელა პასუხისმგებლობისთვის მზად ნამდვილად არ ვარ. მოხარული ვიქნები, თუ მალდინის არყოფნაში „მილანს" სწორედ შევჩენკო გაიყვანს მოედანზე" — დასძენს გატუზო.

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

# მარადონამ ფეხბურთი მოითხოვა
## თუ ისურვებს, ითამაშებს კიდეც



**დიეგო მარადონას** გამოჯანმრთელების პროცესი ჩინებულად მიდის.

როგორც არგენტინული მედია გვამცნობს, კოლუმბიაში, კარტახენას კლინიკაში ახლახან ნაოპერაციები დიეგო იმდენად მოყოჩაღდა, რომ იქაურ მედპერსონალს სთხოვა, ტელევიზიით ფეხბურთის ყურების ნება დამრთეთო.

„მინდა დაგარწმუნოთ, რომ მარადონას საფრთხე აღარ ემუქრება. ძალიან ჯანსაღი ორგანიზმი აქვს და ამიტომაც უფრო ადრე გამოჯანმრთელდება, ვიდრე ვვარაუდობდით“ — განაცხადა ლეგენდარული არგენტინელის პირადმა ქირურგმა ფრანსისკო ოლგინმა არგენტინულ „კლარინთან“ საუბრისას.

შეგახსენებთ, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას კოლუმბიელმა მედიკოსებმა წონაში დასაკლებად ლაპაროსკოპიული ოპერაცია შაბათს, 5 მარტს გაუკეთეს. ქირურგიულ ჩარევამდე კი მარადონა არანორმალურად ბევრს, 120 კგ-ს იწონიდა.

„დიეგო ახლა თავს მშვენივრად გრძნობს და ფეხბურთის მატჩების ტელევიზიით ყურებაც მოითხოვა. გავა სულ რამდენიმე თვეც და თუ ისურვებს, ბურთაობასაც მშვენივრად შეძლებს“ — ამბობს კარლოს ჩაუ, ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე.

მოკლედ, 43 წლის დიეგო მარადონამ უახლოეს ხანში ორმოციდან ორმოცდაათამდე კილოგრამი უნდა დაიკლოს, რათა მისი სიმაღლისთვის (164 სმ) შესაფერის წონას მიაღწიოს. ამისთვის კი მან ერთი წლის, ან სულ მცირე 6 თვის მანძილზე სპეციალური დიეტა უნდა დაიცვას.

ბოლოს კი იმას დავძენთ, რომ თურმე, მიუხედავად წარმატებული ოპერაციისა, არგენტინაში კოლუმბიელ ექიმთა გამბედაობა ბევრს არ ეხატება გულზე — ინჩასებს დიეგო მარადონა ლამის წმინდანად მიაჩნიათ და სათაყვანებელი კერპის ქირურგიულ კორექტირებას კარგი თვალით ვერ უყურებენ.



# დიეგო თავდადებული
## სიმეონე სამშობლოშიც უზრდელი და უხეშია

**არგენტინელი** დიეგო პაბლო სიმეონე მომავალ კვირას, „რივერ პლეიტთან“ უმნიშვნელოვანეს ჯახს ოდენ ტრიბუნაზე, რიგით ინჩასად დაესწრება — „რასინგის“ ნახევარმცველმა „ბოკა ხუნიორსთან“ კვირის მატჩში ზედიზედ ორი ყვითელი ბარათი მიიღო და შესაბამისად, აგრესიული თამაშის სტილითა და მებრძოლი ხასიათით ცნობილი „ელ ჩულო“ არგენტინული კლაუსურას მე-5 ტურში იძულებით დაისვენებს.

„როგორც კი მსაჯმა მეორე ყვითელი ამიფრიალა, დავიშოკე. მივხვდი, რომ თანაგუნდელები მაგრად დავალალატე. გასახდელში ვიდექი და მხურვალედ ვლოცულობდი, „ბოკას“ ჩვენთვის გოლი არ გაეტანა“ — განაცხადა მადრიდის „ატლეტიკოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა „ოლეს“ ჟურნალისტთან საუბრისას.

სიმეონე პირველი ყვითლით გაგოსთან შეჯახებისას „დასაჩუქრდა“, ხოლო მეორე და საბედისწერო, მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე დანიელ ლულესთან უხეშობისთვის მიიღო.

„რასინგის“ გულშემატკივრებს ჩემი გაძევებისთვის ბოდიშს ვუხდი. თავისუფლად შეიძლებოდა, მაშინ მეტოქეს მოეგო კიდეც, რასაც საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებდი“ — ბოლოს ასე მოინანია და სიმეონემ გამოჩენილი ზედმეტი „თავდადება“.

ამრიგად, როგორც უკვე მოგახსენეთ, დიეგო სიმეონე რამდენიმე დღეში მეორე არგენტინულ გრანდთან ჭიდილში „მონუმენტალზე“ იჯდება და ისე უყურებს თავის გუნდს. „ბოკასთან“ ოთხ კი „რასინგის“ გამარჯვებით 1:0 დასრულდა — მასპინძელმა მარსელო გერერომ 28-ე წუთზე ლამაზი დარტყმით შეაგდო ერთადერთი და გამარჯვების მომტანი ბურთი და მეტოქის არაერთი მცდელობის მიუხედავად, ანგარიში მსაჯის საფინალო სასტვენამდე აღარ შეცვლილა.

# რა ამბავია, ამდენი არგენტინელები?!
## სოკრატესმა შინაურიც და გარეულიც მაგრად გამოლანძღა

*ცნობილი ბრაზილიელი სოკრატესი, „კორინთიანსისა“ და პენტაკამპეონთა ცოცხალი ლეგენდა, მშობლიური კლუბის მწვრთნელად არგენტინელი დანიელ პასარელას დანიშვნას აკრიტიკებს*



**„ამ „კორინთიანსს“** ძველ, დიდ გუნდთან საერთო არაფერი აქვს. გულშემატკივრები იძულებულნი არიან, საყვარელი გუნდის ნაცვლად უცხო, არგენტინულს უქომაგონ. პირადად პასარელას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ ვერ ვიგებ, „კორინთიანსს“ უცხოელი თავკაცი რაში სჭირდება. ჩემი აზრით, კლუბის უფროსობა რიგიან მწვრთნელს ბრაზილიაშიც კარგად გამოძებნიდა“ — ამბობს სოკრატესი.

„კორინთიანსს“, პატაგონიელი პასარელა, რომელიც ადრე არგენტინისა და ურუგვაის ნაკრებების მწვრთნელი გახლდათ, მთავარ დამრიგებლად გასულ ხუთშაბათს მოევლინა, მას შემდეგ, რაც ამ გუნდიდან მხცოვანი სპეციალისტი, ადენორ ტიტე არბიტრებისადმი უხეში მოპყრობისთვის დაითხოვეს.

დანიელ პასარელას ბრაზილიაში გამწვრთნელებამ ადგილობრივ საფეხბურთო ავტორიტეტთა განსხვავებული რეაქციაც გამოიწვია. თუ „კორინთიანსის“ პრეზიდენტმა ალბერტო დუალიბმა ჟურნალისტებს სიხარულით უთხრა — აი, ერთი ნორმალური კაცი ძლივს ვიპოვეთო, სეუ ალბერტოზე გაცილებით პატივსაცემმა სოკრატესმა ტელევიზიით გამოსვლისას დაიჩივლა, რა ამბავია ამდენი არგენტინელები, ნუთუ დუალიბს და კირა ჟურაბჩიანს („კორინთიანსის“ ფინანსთა მმართველი) სამშობლოში კვალიფიციური სპეციალისტის აღმოჩენა გაუჭირდათო?

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ დანიელ პასარელას დანიშვნამდე „კორინთიანსში“ უკვე მისულები იყვნენ მისი თანამემამულეები, კარლოს ტევესი და სებასტიან დომინგესი.

# ასიანი საიდუმლო
## ფარიასი გოლებს მალავს

**„რივერ პლეიტის“** თავდამსხმელმა ერნესტო ფარიასმა კვირას, არგენტინის პირველობაზე „ინსტიტუტო დე კორდობას“ ორი ლამაზი გოლი გაუტანა და მშობლიური ინჩადაც მორიგი სამი ქულით ასიამოვნა. „რივერმა“ საბოლოოდ 3:1 მოიგო, ხოლო მუდამ მეტოქეთა კარზე დაგეშილი ერნესტო საამსეზონო არგენტინელ მეგოლეთა მარაქაში მოხვდა, რაც, ცხადია, მისთვის ფრიად სასიხარულოა.

„ყველაზე მთავარი ჩემთვის ხალხის მხარდაჭერაა. დიდი ხანი არაა, რაც „რივერში“ ვთამაშობ და უკვე რამდენიმე გოლის შეგდება მოვახერხე. ინჩასების სიხარულს რომ ვხედავ, გაათმაგებული ენერგიით ვთამაშობ და გოლებიც არ აყოვნებს“ — ამბობს ბედის ნებიერა ფარიასი.

სულ კი არგენტინულ ლიგაში ერნესტო ფარიასს 99-ჯერ გაუტანია, საერთაშორისო სარბიელზე კი მეტოქეთა მეკარეები 103-ჯერ დაუმწუხრებია. ორი გოლი იტალიურ „პალერმოში“ ბურთაობისას გაიტანა, ხოლო ერთხელაც ლიბერტადორესის თასზე ეკვადორული „დეპორტივო ოლმედო“ აიკლო.

„თუ იტალიაში და თასზე გატანილ ბურთებს ჩავთვლით, ასზე მეტი გამოდის, ოღონდ ეს ჩვენს შორის დარჩეს, სხვებთან არ გამამხილოთ“ — გაეხუმრა ფარიასი თანამემამულე „სუპერგოლის“ ჟურნალისტს.

„რივერ პლეიტი“ ახლადწამოწყებულ არგენტინულ კლაუსურაში (საგაზაფხულო ჩემპიონატში უკვე ოთხი ტური ჩატარდა) „როსარიო სენტრალის“ შემდეგ ჯერჯერობით მეორე ადგილზეა და ფარიასიც თავისი გუნდის მომავალს ოპტიმისტურად შესცქერის: „რივერის“ ლონე და „ინსტიტუტოსთან“ ჩინებული გამარჯვება მაფიქრებინებს, რომ კლაუსურაშიც და კოპაზეც დიდი გამარჯვებები გველოდება“.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 2 | უოტფორდი-ნოტინგემი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 22:30 | 442 | ბარნსლი-ლესტერი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 22:30 | 443 | შეფილდი-ქრიუ | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 14 | ბორნმუთი-ბლეკპული | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 22:45 | 15 | პორტ ვეილი-კოლჩესტერი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 22:30 | 444 | ჰალი-ჰარტლპული | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 28 | როჩდეილი-ნორთჰემპტონი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 41 | ტემუორთი-ჰერეფორდი | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 22:45 | 42 | კარლაილი-ლეი | 1.4 | 4.2 | 6.0 | 1.04 | 1.13 | 2.47 |
| 22:45 | 43 | მორიკომბი-ალდერშოტი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:45 | 44 | ბარტონი-უოკინგი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:30 | 445 | გრეივსენდი-ჰალიფაქსი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 435 | ერდრი-ჰამილტონი | 1.9 | 3.5 | 3.2 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 22:30 | 436 | კლაიდი-სტ.მირენი | 1.7 | 3.5 | 4.0 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 437 | ალოა-სტირლინგი | 2.25 | 3.5 | 2.5 | 1.36 | 1.18 | 1.45 |
| 22:30 | 438 | ფორფარი-მორტონი | 2.8 | 3.5 | 2.1 | 1.55 | 1.2 | 1.31 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 439 | ალბიონი-სტენჰაუსმუირი | 2.5 | 3.4 | 2.25 | 1.44 | 1.18 | 1.35 |
| 22:30 | 440 | ისტ სტირლინგი-გრეტნა | 12.0 | 6.0 | 1.15 | 4.0 | 1.04 | 1.0 |
| 22:30 | 441 | ელგინი-პიტერჰედი | 6.5 | 4.5 | 1.35 | 2.65 | 1.11 | 1.03 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 116 | პაშინგი-მატერსბურგი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 20:30 | 117 | ადმირა-რაპიდი | 3.7 | 3.2 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 123 | კერნტენი-ვიორგლი | 1.25 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.0 |
| 20:30 | 124 | ავსტრია(ლ)-უნტერხიბენბრიუნი | 1.3 | 4.3 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.85 |
| 20:30 | 126 | ლინცერი-კაფენბერგი | 2.8 | 3.2 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 20:30 | 127 | გრატკორნი-ალტახი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 560 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 22:30 | 562 | გენტი-მუსკრონი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 561 | მონსი-სერკლი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 22:30 | 563 | ბევერსხოტი-გენკი | 3.5 | 3.3 | 1.9 | 1.69 | 1.23 | 1.2 |
| 22:30 | 564 | ბევერენი-ოსტენდე | 1.75 | 3.4 | 4.1 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 22:30 | 565 | ბრიუგე-ბრიუსელი | 1.1 | 6.5 | 15.0 | 1.0 | 1.02 | 4.53 |
| 22:30 | 566 | ბრიუგე-ბრიუსელი | 1.25 | 4.5 | 4.3 | | | |
| 22:30 | 567 | სტ.ტრუიდენი-ლიერსი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 22:30 | 568 | ვესტერლო-ლოკერენი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 15:00 | 312 | ისთანბული-ანკარაგიუჯიუ | 2.15 | 3.2 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 17:30 | 313 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 401 | ჩელსი-ბარსელონა | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 22:45 | 402 | ლიონი-ვერდერი | 1.9 | 3.4 | 3.7 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| 22:45 | 403 | მილანი-მანჩესტერი | 2.1 | 3.1 | 3.4 | 1.25 | 1.29 | 1.62 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 404 | მონაკო-პსვ | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 22:45 | 405 | იუვენტუსი-რეალი | 2.1 | 3.2 | 3.3 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:45 | 406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 1.8 | 3.4 | 4.15 | 1.17 | 1.25 | 1.86 |
| 22:45 | 407 | არსენალი-ბაიერნი | 1.75 | 3.4 | 4.5 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 408 | ლილი-ოსერი | 2.0 | 3.0 | 3.8 | 1.2 | 1.31 | 1.67 |
| 22:45 | 409 | შახტარი-ალკმაარი | 1.7 | 3.4 | 4.8 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 22:45 | 410 | პარტიზანი-ცსკა | 2.4 | 3.2 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 22:45 | 411 | სევილია-პარმა | 1.6 | 3.5 | 5.5 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:45 | 412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 2.1 | 3.2 | 3.3 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:45 | 413 | სტიაუა-ვილიარეალი | 2.7 | 3.1 | 2.5 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 22:45 | 414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.8 | 3.2 | 4.4 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 18:00 | 420 | ავსტრია-სარაგოსა | 2.4 | 3.2 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 16:00 | 417 | ზენიტი-კუბანი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 16:00 | 418 | როსტოვი-სატურნი | 2.45 | 3.0 | 2.7 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 16:00 | 419 | დინამო-კრილია | 2.2 | 3.0 | 2.9 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| | | **ინგლისი. LDV Vans Trophy** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 431 | საუთენდი-როვერსი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:45 | 432 | რექსემი-ოლდემი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 19:30 | 500 | ილვესი-ჰელსინკი | 2.15 | 4.2 | 2.2 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 19:30 | 501 | კერპეტი-ტურკუ | 1.7 | 4.3 | 3.0 | 1.21 | 1.08 | 1.76 |
| 19:30 | 502 | ლუკო-პელიკანსი | 1.15 | 6.0 | 8.0 | 1.0 | 1.0 | 3.42 |
| 19:30 | 503 | ესპოო-სეიპა | 1.7 | 4.3 | 3.0 | 1.21 | 1.08 | 1.76 |
| 19:30 | 504 | იუვესკიულე-ტაპარა | 1.9 | 4.2 | 2.5 | 1.3 | 1.07 | 1.56 |
| 19:30 | 505 | იოკერიტი-ჰაამეენლინა | 1.8 | 4.3 | 2.75 | 1.26 | 1.08 | 1.67 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 13:00 | 538 | ხიმიკი-სიბირი | 1.45 | 4.6 | 4.0 | 1.1 | 1.06 | 2.13 |
| 13:00 | 539 | აკ-ნეფტეხიმიკი | 2.65 | 4.5 | 1.85 | 1.66 | 1.08 | 1.31 |
| 13:00 | 540 | დინამო-ლოკომოტივი | 1.65 | 4.3 | 3.2 | 1.19 | 1.08 | 1.83 |
| 13:00 | 541 | მაგნიტოგორსკი-სპარტაკი | 1.15 | 5.5 | 8.0 | 1.0 | 1.0 | 3.25 |
| 13:00 | 542 | ავანგარდი-ნოვოკუზნეცკი | 1.35 | 4.6 | 4.8 | 1.04 | 1.05 | 2.34 |
| 13:00 | 543 | სევერსტალი-აკ ბარსი | 3.0 | 4.3 | 1.65 | 1.76 | 1.06 | 1.19 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 13:00 | 545 | ს.იულაევი-ლადა | 4.0 | 4.4 | 1.45 | 2.09 | 1.06 | 1.09 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10401 | ჩელსი-ბარსელონა | 2.6 | 2.0 | 3.7 | 1.13 | 1.52 | 1.29 |
| 10402 | ლიონი-ვერდერი | 2.55 | 2.0 | 3.9 | 1.12 | 1.54 | 1.32 |
| 10403 | მილანი-მანჩესტერი | 2.5 | 1.9 | 4.0 | 1.07 | 1.53 | 1.28 |
| 10404 | მონაკო-პსვ | 2.3 | 2.0 | 4.0 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10405 | იუვენტუსი-რეალი | 2.6 | 1.9 | 3.5 | 1.09 | 1.49 | 1.23 |
| 10406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 2.3 | 2.0 | 4.0 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10407 | არსენალი-ბაიერნი | 2.1 | 2.2 | 4.4 | 1.07 | 1.42 | 1.46 |
| 10408 | ლილი-ოსერი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 10409 | შახტარი-ალკმაარი | 2.35 | 2.0 | 4.3 | 1.08 | 1.51 | 1.36 |
| 10410 | პარტიზანი-ცსკა | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10411 | სევილია-პარმა | 1.9 | 2.1 | 4.8 | 1.0 | 1.36 | 1.46 |
| 10412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 10413 | სტიაუა-ვილიარეალი | 3.2 | 2.0 | 2.95 | 1.23 | 1.53 | 1.19 |
| 10414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10420 | ავსტრია-სარაგოსა | 2.9 | 2.1 | 3.0 | 1.21 | 1.47 | 1.23 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12401 | ჩელსი-ბარსელონა | 1.6 | 2.1 |
| 12402 | ლიონი-ვერდერი | 1.7 | 1.9 |
| 12403 | მილანი-მანჩესტერი | 1.55 | 2.2 |
| 12404 | მონაკო-პსვ | 1.6 | 2.1 |
| 12405 | იუვენტუსი-რეალი | 1.6 | 2.1 |
| 12406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 12407 | არსენალი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 12408 | ლილი-ოსერი | 1.55 | 2.2 |
| 12409 | შახტარი-ალკმაარი | 1.9 | 1.7 |
| 12410 | პარტიზანი-ცსკა | 1.6 | 2.1 |
| 12411 | სევილია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.6 | 2.1 |
| 12413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.6 | 2.1 |
| 12414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 12420 | ავსტრია-სარაგოსა | 1.6 | 2.1 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11401 | ჩელსი-ბარსელონა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11402 | ლიონი-ვერდერი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11403 | მილანი-მანჩესტერი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11404 | მონაკო-პსვ | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11405 | იუვენტუსი-რეალი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11407 | არსენალი-ბაიერნი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11408 | ლილი-ოსერი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11409 | შახტარი-ალკმაარი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11410 | პარტიზანი-ცსკა | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11411 | სევილია-პარმა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.8 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11413 | სტიაუა-ვილიარეალი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11420 | ავსტრია-სარაგოსა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |

## რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 18401 | ჩელსი-ბარსელონა | 2.2 | 1.6 |
| 18403 | მილანი-მანჩესტერი | 1.2 | 3.7 |
| 18404 | მონაკო-პსვ | 2.2 | 1.6 |
| 18405 | იუვენტუსი-რეალი | 2.4 | 1.5 |
| 18406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 3.4 | 1.3 |
| 18407 | არსენალი-ბაიერნი | 3.6 | 1.25 |
| 18408 | ლილი-ოსერი | 1.8 | 1.9 |
| 18409 | შახტარი-ალკმაარი | 1.5 | 2.05 |
| 18410 | პარტიზანი-ცსკა | 2.2 | 1.45 |
| 18411 | სევილია-პარმა | 1.45 | 2.35 |
| 18412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 2.0 | 1.6 |
| 18413 | სტიაუა-ვილიარეალი | 3.0 | 1.2 |
| 18414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.65 | 2.0 |
| 18420 | ავსტრია-სარაგოსა | 2.5 | 1.4 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16401 | ჩელსი-ბარსელონა | 1.5 | 2.3 |
| 16402 | ლიონი-ვერდერი | 1.35 | 2.55 |
| 16403 | მილანი-მანჩესტერი | 1.45 | 2.3 |
| 16404 | მონაკო-პსვ | 1.35 | 2.6 |
| 16405 | იუვენტუსი-რეალი | 1.45 | 2.3 |
| 16406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 1.3 | 2.3 |
| 16407 | არსენალი-ბაიერნი | 1.25 | 2.5 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17401 | ჩელსი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17402 | ლიონი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17403 | მილანი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17404 | მონაკო-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17405 | იუვენტუსი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17407 | არსენალი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17408 | ლილი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17409 | შახტარი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17410 | პარტიზანი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 17411 | სევილია-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17420 | ავსტრია-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13401 | ჩელსი-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 13402 | ლიონი-ვერდერი | 1.7 | 1.9 |
| 13403 | მილანი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 13404 | მონაკო-პსვ | 1.7 | 1.9 |
| 13405 | იუვენტუსი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 13407 | არსენალი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13408 | ლილი-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 13409 | შახტარი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |
| 13410 | პარტიზანი-ცსკა | 1.7 | 1.9 |
| 13411 | სევილია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 13420 | ავსტრია-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14401 | ჩელსი-ბარსელონა | 1.7 | 2.2 |
| 14402 | ლიონი-ვერდერი | 1.7 | 2.2 |
| 14403 | მილანი-მანჩესტერი | 1.6 | 2.1 |
| 14404 | მონაკო-პსვ | 1.6 | 2.2 |
| 14405 | იუვენტუსი-რეალი | 1.75 | 2.1 |
| 14406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 1.65 | 2.3 |
| 14407 | არსენალი-ბაიერნი | 1.65 | 2.3 |
| 14408 | ლილი-ოსერი | 1.75 | 2.1 |
| 14409 | შახტარი-ალკმაარი | 1.65 | 2.2 |
| 14410 | პარტიზანი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 14411 | სევილია-პარმა | 1.45 | 2.3 |
| 14412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.75 | 2.1 |
| 14413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.9 | 1.9 |
| 14414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.65 | 2.3 |
| 14420 | ავსტრია-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15401 | ჩელსი-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15402 | ლიონი-ვერდერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15403 | მილანი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15404 | მონაკო-პსვ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15405 | იუვენტუსი-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15407 | არსენალი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15408 | ლილი-ოსერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15409 | შახტარი-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15410 | პარტიზანი-ცსკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15411 | სევილია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15413 | სტიაუა-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15420 | ავსტრია-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

# კალათბურთი კიბე არის: სანიკიძე ადის, უილიამსი ჩადის



**ისე** როგორც ნებისმიერი რამ, სპორტული წარმატებაც დიალექტიკის კანონს ემორჩილება — ანუ სულ ერთ დონეზე კარგად თამაში არავის შეუძლია, დრო გადის და მასთან ერთად იცვლება შედეგიანობაც. ზოგი უმატებს, ზოგსაც ჩავარდნა ეწყება. ეს, რა თქმა უნდა, ეხება ქართულ ლეგიონსაც, სადაც ვინც გუშინ წარმატებით ირჯებოდა, დღეს არ გაუმართლა, ან პირიქით. ერთი სიტყვით, მივყვეთ...

შემონდ უილიამსი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ლეგიონერია, მისი შემწეობით ყაზანის „უნიკსი" ფიბა-ევროლიგის ჯგუფიდან გავიდა. ჩვენი ნაკრების შავკანიანი გამთამაშებელი თითქმის ყოველ მატჩში „უნიკსის" ბომბარდირი ხდებოდა, აი, ბოლო შეხვედრაში კი თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინა.

ყაზანელებმა რუსული სუპერლიგის დებიუტანტ „სიბირტელეკომს" უმასპინძლეს და იოლადაც დაამარცხეს, თუმც შემონდ უილიამსის შეწევნის გარეშე. ქართულ-ამერიკული მოქალაქეობის მფლობელმა გამთამაშებელმა მოხსნა-პასები ჩვეულად უხვად აკეთა, ბომბარდირული თვისებები კი ვერ გამოავლინა. უილიამსს 23-წუთიანი ბურთაობის შედეგად მხოლოდ სამი ქულა მოუგროვდა, რაც მისი „უნიკსში" დამკვიდრების შემდეგ არ მომხდარა.

ენა არ მოგვიტრიალდება, ვლადიმერ ბოისაც უიღბლოთა კატეგორიას მივაკუთვნოთ, თუმც რასაც „ოლიმპიას" ჩვენიანი კაპიტანი ბოლო მატჩებში იმკის, საგრძნობლად ნაკლებია მის ამასწინანდელ მიღწევებთან. ვოვამ ისე მიგვაჩვია მაღალ-მაღალ ციფრებს, რომ 10-12 ქულა უკვე მოკრძალებულ შედეგად გვეჩვენება. ბოისამ ადრიატიკის ლიგის გასულ ტურში სერბულ „ჰემოფარმს" 11 ქულა ჩაუგდო, მისი „ოლიმპია" კი 96:107 დამარცხდა.

ამ წაგებით ოლიმპიელებმა დაკარგეს ცხრილში ერთპიროვნული ლიდერობა. მათ მეორე ადგილზე მყოფი და ლიუბლიანელთა გუშინდელი მეტოქე „ჰემოფარმი" წამოეწიათ.

ახლა კი პროგრესირებად ლეგიონერებზე ვთქვათ, რომელთაგან უპირველესად დიჟონელი ვიქტორ სანიკიძეა გამოსარჩევი. სულ რაღაც ერთი თვის წინ სანიკიძე სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მოედანზე იშვიათად გადიოდა. ეს გარკვეულწილად იმით იყო განპირობებული, რომ „ვიკას" მუხლები აწუხებდა, თუმც, სანიკიძის მაშინდელი განცხადებით, მწვრთნელი მას მაინც უსამართლოდ ექცეოდა. ახლა კი, იცოცხლეთ, სანიკიძეს სკამზე საჯდომად არ სცალია, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების წევრმა უკვე მოიპოვა „დიჟონის" ხუთეულში ადგილი და თითოეულ მატჩში 20 წუთზე ნაკლებს არ თამაშობს.

საფრანგეთის ჩემპიონატის განვლილ ტურში დიჟონელებმა შინ ევროლიგიდან ცნობილი „პო ორტეზი" მიიღეს, რომელსაც დიდი ბრძოლა გაუმართეს და დრამატულ ფინალში 87:88 წააგეს.

სანიკიძე თავიდანვე გავიდა პოელებთან საომრად და საერთო ჯამში ნათამაშები 23 წუთის შემდეგ 9 ქულა, 7 მოხსნა და ორიც შედეგიანი გადაცემა მოუგროვდა. შედეგი ურიგო არაა და, რაც მთავარია, სანიკიძის სტაბილურობაზე მიანიშნებს. „ვიკა" ერთ-ერთი მოწინავე ლეგიონერი იყო მათ შორის, ვისაც ჩავარდნა არ სჩვევია, თუმც ამ ზამთარში დროებით სათადარიგოებში გარევამ მის სტაბილურობასაც დარია ხელი. ახლა კი სანიკიძე ჩვეულ ფორმას უბრუნდება.

შედეგიანობით გამოირჩევა ლიტვის მეორე ლიგაში მოთამაშე ტატო ვაშაკიძეც, რომელიც უმაღლესში გადასვლის ერთ-ერთი კანდიდატი გუნდის ლიდერია. „პასვალიოში" ვაშაკიძე უმაღლესლიგური „შაულიაიდანაა" განათხოვრებული და ქართველი გამთამაშებელიც, იცოცხლეთ, გამოცდილებას იღრმავებს.

„პასვალიომ" ამ შაბათ-კვირას ორი მატჩი გამართა ლიტვის სიამაყე „ჟალგირისიც" მეორე გუნდთან და მოგებ-წაგება გაუცვალა. ვაშაკიძემ ორივე შეხვედრაში საკმაო დროით ითამაშა და თითქმის ერთნაირი შედეგიანობით გამოირჩა. „პასვალიო" ახლა 40-დან 30 გამარჯვებით პირველ-მეორე ადგილზეა და თუ ტემპი არ დააგდო, უმაღლეს ლიგასაც დააჭაშნიკებს.

ოკეანგაღმიდან კი ძველებური ამბები მოდის: ნიკა ცქიტიშვილი სკამზე ზის და ზაზა ფაჩულია მეტნაკლები წარმატებით გამოირჩევა. „სკიტას" ახალმა გუნდმა „გოლდენ სტეიტმა" უკვე ქართველგანაცხადიანი 5 მატჩი ითამაშა, თუმც ჩვენებურს თავის გამოჩენის შანსი თითქმის არ მისცემია. ნიკა ორჯერ ორი წუთით გავიდა მოედანზე და რას გაახერხებდა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ჰემოფარმი | ს | 96:107 | 40 | 11 | 5 | 2 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ჰემოფარმი | ს | 96:107 | არ უთამაშია | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. საფრანგეთი | პო ორტეზი | შ | 87:88 | 23 | 9 | 7 | 2 | 0 |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B. საფრანგეთი | ბიუვი | შ | 90:75 | არ უთამაშია | | | | |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | სუპერლიგა (რუს) | სიბირტელეკომი | შ | 93:74 | 23 | 3 | 6 | 8 | 2 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ზაგრები | ს | 82:63 | 17 | 6 | 4 | 0 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | მეორე ლიგა (ლიტვა) | ჟალგირისი 2<br>ჟალგირისი 2 | შ<br>ს | 85:75<br>73:86 | 24<br>25 | 14<br>11 | 3<br>3 | 3<br>3 | 1<br>4 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | დენვერი<br>გოლდენ სტეიტი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | მემფისი<br>ვაშინგტონი<br>მინესოტა | ს<br>ს<br>ს | 97:99<br>103:90<br>99:93 | არ უთამაშია<br>2<br>არ უთამაშია | <br>0<br> | <br>1<br> | <br>0<br> | <br>0<br> |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | ფილადელფია<br>მინესოტა<br>ჩიკაგო | შ<br>ს<br>შ | 111:118<br>97:103<br>95:87 | 14<br>14<br>28 | 0<br>2<br>6 | 1<br>2<br>7 | 1<br>0<br>3 | 0<br>0<br>2 |

**შენიშვნა:** წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

6 მარტი

**ნიუ იორკი 115:99 გოლდენ სტეიტი**

ნიუ იორკი: მარბერი (24 ქულა, 16 პასი), კროუფორდი (71), ტ. ტომასი (25), კ. ტომასი (6), სვიტნი (19); ტეილორი (15), როუზი (8), ჯეკსონი (5), არიზა (4), ჰარდევეი, არიზა

გოლდენ სტეიტი: ფიშერი (8), რიჩარდსონი (24), დანლივი (11), მერფი (23 ქულა, 10 მოხსნა), ფოილი (6); დევისი (13), ვაიტი (5), ბიედრინსი (4), პიეტრუსი (3), ჩაბარკაპა (2), ცქიტიშვილი (2 წუთი, 0 ქულა)

**ჰიუსტონი 90:69 დალასი**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (32 ქულა, 10 მოხსნა), მინგი (14 ქულა, 11 მოხსნა)

დალასი: ტერი (20)

**საკრამენტო 100:85 დეტროიტი**

საკრამენტო: ბიბი (19 ქულა, 11 პასი), ტომასი (19)

დეტროიტი: რ. ვოლესი (19 ქულა, 10 მოხსნა), ჰამილტონი (14)

**ბოსტონი 97:99 მინესოტა**

ბოსტონი: დევისი (22), პეიტონი (17), უოლკერი (16)

მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი), შჩერბიაკი (20)

**ნიუ ორლეანი 84:95 ტორონტო**

ნიუ ორლეანი: ნეილონი (18), ნახბარი (15)

ტორონტო: ბოში (33 ქულა, 15 მოხსნა), ბონერი (18)

**სან ანტონიო 101:94 იუტა**

სან ანტონიო: ჯინობილი (31 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), ბოუენი (18)

იუტა: მაკლეოდი (18), ბელი (17), კირილენკო (16)

**კლივლენდი 82:102 მაიამი**

კლივლენდი: ჯეიმსი (23), ილგაუსკასი (22)

მაიამი: ე. ჯონსი (19), ჰეისლიპი (18 ქულა, 11 მოხსნა), ვეიდი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**ლეიკერსი 103:94 ინდიანა**

ლეიკერსი: ბრაიანტი (37 ქულა, 10 მოხსნა), ეტკინსი (16)

ინდიანა: ჯეკსონი (29), ფ. ჯონსი (18)

**სიეტლი 99:110 ფინიქსი**

სიეტლი: ალენი (27), ლუისი (26 ქულა, 11 მოხსნა)

ფინიქსი: ჯონსონი (30), სტუდემაიერი (22), მარიონი (18 ქულა, 10 მოხსნა)



ჯაბი „გოლდენ სტეიტის" საჯარიმოში

# ვაის გაეყარა, ვუის შეეყარა
## ცქიტიშვილის 0

**ვაის** გაეყარა და ვუის შეეყარა. ნიკა ცქიტიშვილს „დენვერში" რომ არ ათამაშებდნენ, ამიტომ ითხოვა სხვა გუნდში გაცვლა. გაცვალეს კიდეც და „გოლდენ სტეიტში" ამოჰყო თავი, მაგრამ რა, იქაც სამაღლო აქვს ორიოდ წუთით ბურთაობა...

ახლა მედალი შემოვაბრუნოთ: არ ათამაშებენ, მაგრამ იმსახურებს კი? „ნიუ იორკთან" ცქიტიშვილი ორი წუთით შევიდა მოედანზე და ჩაგდებას ვინ ჩივის, არც უსვრია ბურთი. არც ვინმეზე დაჯარიმებულა და საერთოდ, ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ თუნდაც შეხვედრის ოქმში ჩაწერილიყო — 0 ქულა, 0 მოხსნა, 0 პასი, 0 ჯარიმა, 0, 0, 0...

ასეთ დროს ძნელია მწვრთნელების გამტყუნება. ისინი, როგორც წესი, ისეთ კალათბურთელებს ათამაშებენ, ვინც მოედანზე რაღაცას აკეთებს.

მაგრამ ეს იქით იყოს. კვირადღეს ნბა-ში ბევრი საინტერესო თამაში გაიმართა. კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც „მინესოტას" გენ-მენეჯერმა კევინ მაკჰეილმა გუნდის მთავარი მწვრთნელი და ძველი მეგობარი ფლიპ სანდერსი მოხსნა და თავკაცად საკუთარი თავი დანიშნა. ვერ ვიტყვით, დამშეული „მგლები" ამ ცვლილებამ დააპურა-თქო, მაგრამ „მინესოტა" ჯერ კიდევ ახერხებს მეპლეიოფეთა შორიახლო ტრიალს და დასავლეთში რვა საუკეთესოს შორის მოხვედრის იმედიც ჯერ არ გადაწურვია.

6 მარტს მაკჰეილმა მნიშვნელოვანი, თან დაძაბული თამაში მოაგებინა შეგირდებს. „მინესოტა" „ბოსტონ სელტიქსს" სტუმრობდა და იქნებ იცით, ამ გუნდში მაკჰეილმა 13 სეზონი, აქედან სამი საჩემპიონო გაატარა. ბოსტონელები თბილად შეხვდნენ ძველ კერპს, თუმც ეს განწყობა 48 სუფთა სათამაშო წუთის ჩავლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუნელდათ. მასპინძლები კარგად მომზადებულები კი დაუხვდნენ „მგლებს", მაგრამ ბოლო წამებზე მაინც დათმეს შეხვედრა და ამისგან ისინი ვერც გერი პეიტონმა, „სელტიქსში" მობრუნებულმა ვეტერანმა ვერსკვლავმა იხსნა.

დასავლეთის ორი ხელზუსტი გუნდის „სიეტლისა" და „ფინიქსის" შეხვედრა მეორემ მოიგო და თავისი გაუცინარი მწვრთნელი მაიკ დანტონიც გააცინა. წელს „ფინიქსი" მშვენიერი გუნდია, 60 თამაშიდან 46 მოუგია და მხოლოდ „სან ანტონიოს" ჩამოუვარდება, თუმც დანტონი მაინც პირქუში სახით აკეთებს ნამატჩევ განცხადებებს და დღემუდამ იმას გაიძახის, კი მოვიგეთ, მაგრამ უკეთ თამაში შეგვეძლოო. „სიეტლის" სიეტლშივე ძლევის შემდეგ კი დანტონიმ როგორც იქნა „კარგი დაიხანა" — „დიახ, ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ."

**კოტე ყორშია**

საქართველოს XV ჩემპიონატი. მეორე წრე

# ბათუმი გადაიდო



**ორდღიანი** შესვენების შემდეგ დღეს ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე განახლდება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში თამაშებს გამართავს „ბ" ქვეჯგუფის ხუთეული — „ქუთაისი", „საუ-მამული", ხელბურთის სკოლის ჭაბუკთა გუნდი, „ბათუმი" და „სამტრედია".

ამ ტურის გამართვა ბათუმში იყო დაგეგმილი, მაგრამ იქაური დარბაზი სტანდარტამდე თითქმის ხუთი მეტრით მოკლეა, თანაც მოედნის ირგვლივ დამცავი ზონებიც არ არის, რაც ტრავმის საშიშროებას ქმნის. ერთი სიტყვით, საბათუმო ტური გადაიდო.

რაც შეეხება ორი დღის წინ დასრულებული „ა" ქვეჯგუფის ტურს, ოთხივე მატჩი დამაჯერებლად, ჩვეულ ფორმაში ჩაატარა საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა „სტუ-შევარდენმა" და ოთხივე მეტოქეს იოლად სძლია, [illegible] ტურის საპირველადგილო ბრძოლაში [illegible] კონკურენტ „თბილისს".

ჩემპიონთა თამაშს ის ჩვეული სტილი დაუბრუნდა, რომელიც აშკარად აკლდა პირველ ტურში. ეს კი მნიშვნელოვანწილად წამყვან მოთამაშეთა არყოფნამ განაპირობა — გიორგი ქობელაშვილი ტრავმირებული იყო, ტიტე კალანდაძე ისლანდიაში გაემგზავრა სათამაშოდ, ხოლო რევაზ ჭანტურია — მაკედონიაში.

მაკედონიიდან მოსული ბოლო ცნობებით, ჭანტურია სულ უფრო მეტხანს და წარმატებით თამაშობს იქაურ ჩემპიონატში. მისმა „მეტალურგმა" ბოლო სამი მატჩი მოიგო, მათ შორის ლიდერ „ბიტოლასთან" (ჭანტურიამ ოთხი გოლი გაუტანა) და სადღეისოდ მას მხოლოდ ქულითღა ჩამორჩება.

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 12 | 0 | 1 | 429:296 | 24 |
| თბილისი | 11 | 1 | 1 | 361:290 | 23 |
| ქარიშხალა | 8 | 1 | 4 | 384:352 | 17 |
| თელავი | 7 | 0 | 6 | 348:325 | 14 |
| ქუთაისი | 5 | 1 | 3 | 300:274 | 11 |
| საუ-მამული | 4 | 1 | 4 | 336:268 | 9 |
| ჭაბუკები | 3 | 0 | 6 | 211:259 | 6 |
| ბათუმი | 1 | 1 | 7 | 226:287 | 3 |
| სამტრედია | 1 | 1 | 7 | 216:308 | 3 |
| გორი | 0 | 0 | 13 | 267:426 | 0 |

**8 მარტი**
სამტრედია — საუ-მამული
ბათუმი — ქუთაისი

**9 მარტი**
ქუთაისი — საუ-მამული
ბათუმი — ჭაბუკები

**10 მარტი**
ჭაბუკები — სამტრედია
ბათუმი — საუ-მამული

**11 მარტი**
ჭაბუკები — საუ-მამული
სამტრედია — ქუთაისი

**12 მარტი**
ქუთაისი — ჭაბუკები
სამტრედია — ბათუმი



# მსუბუქი დასაწყისი

## მოჭიდავეები სოფიიდან მოდიან და სოფიაში მიდიან



**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეებმა სეზონის გამხსნელი საერთაშორისო ტურნირი მოილიეს და პირველი მედლებიც დაიმსახურეს. 5-6 მარტს სოფიაში საპრილო ევროპის ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციად მონათლული ნიკოლაი პეტროვის მემორიალი დასრულდა და რვა ქართველიდან კვარცხლბეკზე ორი შედგა.

ძიუდოსგან განსხვავებით, ჭიდაობების საერთაშორისო ტურნირები ინტერნეტში გაცილებით ცუდად შუქდება და შედეგების ამაოდ ძებნის შემდეგ დასახმარებლად ფედერაციის გენერალურ მდივან ომზარ შოშიტაშვილს მივმართეთ.

„მედლები ორ უმსუბუქეს წონაში მოვიგეთ. გორელმა ბესიკ გუჩაშვილმა (55 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო ნაკრების დებიუტანტმა, აჭარელმა კობა კაკალაძემ (60 კგ) ბრინჯაო. მედალთან ძალიან ახლოს ყოფილა მძიმეწონოსანი დავით ოთიაშვილიც, თუმც ნახევარფინალში მიღებულმა ტრავმამ მას ის შეხვედრაც წააგებინა და აღარც მესამე ადგილისთვის ბრძოლა დააცალა. ოთიაშვილის ტრავმა ერთადერთი სულაც არ იყო. ევროპის ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი ჯერ კიდევ ტურნირამდე დაშავებულა და საერთოდ ვერ უჭიდავია" — გვითხრა შოშიტაშვილმა.

ზაზა თურმანიძის შეგირდები თბილისში ხვალ დაბრუნდებიან და უახლოეს დღეებში მეორე თვის შეკრებას დაიწყებენ, სოფიურ საევროპო რეპეტიციას კი მომავალ შაბათ-კვირას უკვე ბერძენ რომაელები გაივლიან. ბეგი დარჩიას გუნდი ბულგარეთში ხვალ გაფრინდება.

**ოთარ გაღლაძელიძე**



# ერა პრო ტურისა

## ველოსპორტი გამოსწორებას გვპირდება

**ველოსპორტში** ახალ ერას უნდა ველოდოთ. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ ამ სახეობის მესვეურნი გრძნობენ, ბოლოხანს მომრავლებულმა სკანდალებმა მაყურებელი დააფრთხო, მოძველებული ტრადიციები კი განვითარების საშუალებას არ იძლევა, საჭიროა სიახლე — პრო ტური.

რბოლათა რთული კალენდარი და პროფესიულ კლუბთა დონეზე წარმოქმნილი სერიოზული უთანხმოებები ველოსპორტს მეტისმეტად უძნელებდა ცხოვრებას, რის გამოც პრო ტურის იდეის ავტორებმა მდგომარეობის გამოსწორებაზე იზრუნეს. ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის განცხადებაში წერია:

„ჩვენი მიზანია ველოსპორტი ხალხისთვის სასეირო სახეობად ვაქციოთ და სეზონის მთავარ შეჯიბრებებში ასპარეზობის დონე ავამაღლოთ".

ძალიან კარგი, მაგრამ როგორ?

კავშირი, რომელსაც თქვენი ნებართვით შემდგომში მოკლედ, UCI-დ მოვიხსენიებთ, პრო ტურის პროგრამაში მხოლოდ მთავარ რბოლებს ტოვებს და მათში მონაწილეობის უფლებას უმტკიცებს იმ 20 გუნდს, რომელთაც შესაბამისი ფინანსური გარანტიები წარუდგინეს.

ასე და ამგვარად, პრემიერლიგაში შევიდა ოთხი იტალიური, ოთხი ფრანგული, ოთხი ესპანური, ორი ბელგიური, ორი გერმანული, ერთი ჰოლანდიური, ერთი დანიური, ერთი შვეიცარიული და ერთიც ამერიკული გუნდი. შესაბამისად, ამიერიდან ყველას ეცოდინება შეჯიბრების დრო და თარიღი, ერთმანეთს აღარ დაემთხვევა ორი სხვადასხვა ტური და ველოსპორტიც ორ და მეტ ძიძას შორის აღარ გაიჭყლიტება — საუკეთესონი, საუკეთესო გუნდებში დახარისხებულნი ორგანიზებულად მიიღებენ მონაწილეობას ერთსა და იმავე შეჯიბრებაში.

და კიდეც, პრო ტურმა ველოსპორტის შელანძღული სახელი უნდა გამოასწოროს. კერძოდ, ზემოჩამოთვლილ გუნდებს სთხოვეს „ეთიკის ქარტიაზე" ხელის მოწერა. ამ ქარტიის მიხედვით ნებისმიერი სპორტსმენი, რომელიც დოპინგ-კონტროლზე ჩავარდება, დაუყოვნებლივ გამოეთიშება შეჯიბრებას და თუ ტესტირების საბოლოო დასკვნაც მისი საწინააღმდეგო იქნება, მოიკვეთება.

გარდა ამისა UCI აპირებს ტესტირების ახალი პროცედურის დანერგვას და გამკაცრდება სანქციებიც. მხილებულნი პრო ტურზე ოთხი წლით აღარ დაიშვებიან.

საინტერესოა, რომ პრო ტურის გამოჩენა ძალიან არ მოეწონათ გიგანტებს, სამ დიდ ტურს, ჯიროს, ტურ დე ფრანსს და ვუელტას. თავიდან UCI-სა და სამეულს შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ პრო ტურს ჩაშლა თუ არა, გადადება ნამდვილად დაემუქრა, მაგრამ შემდეგ ჯენტლმენური შეთანხმება მოხერხდა... 2005 წლისთვის მაინც.

ერთი სიტყვით, წლევანდელი სეზონი ფრიად სახალისო უნდა გამოვიდეს. გადავხედოთ აღიარებულ ვარსკვლავებს: ლენს არმსტრონგი, მაგალითად, პრო ტურის ეტაპებზეც დათანხმდა გამოსვლას, ისე კი ტურ დე ფრანსის მეშვიდედ მოგებას შეეცდება, რაც არნახული შედეგია. მას ეყოლება ახალი სპონსორი, „დისქავერი ჩენალი". მის გარდა ისევ უნდა ველოდოთ იან ულრიხის, ივან ბასოს და ულრიხის თანაგუნდელს ანდრეას კლოედენის ძლიერ გამოსვლებს. პლუს, არმსტრონგი სპორტიდან წასვლის წინ ყველას ახალ რეკორდებს პირდება. კერძოდ, მას სურს ერთი საათისა და კლასიკური ერთი დღის მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესება.

მოსალოდნელია ახალგაზრდების გააქტიურებაც. ამომავალ ვარსკვლავად საყოველთაოდ გახლავთ აღიარებული ესპანური ალეხანდრო ვალვერდე, რომელმაც „კელმეს" გუნდი დატოვა. იტალიელი დამიანო კუნეგო შარშანდელი ჯიროს გამარჯვებულია, რომელმაც თვით არმსტრონგსაც კი გაუბედა მეტოქეობა. ასახელებენ ბელგიელ ტომ ბოონენსა და ფრანგებს, სილვან შავანელს, სანდი კასარსა და ტომა ვეკლერს...

ასე, რომ ტრიალდება ბორბალი.

**ტუტა სიხარულიძე**

# თვით არმსტრონგს მინუს ოცდაშვიდი

**გერმანელი** იენს ფოიგტი ველოსპორტის ისტორიაში მოხვდა, მან მოიგო ახალშექმნილი პრო ტურის პირველი ეტაპი. ფოიგტის გამარჯვება პარიზ-ნიცას პროლოგზე დაემთხვა ამერიკელი ლანს არმსტრონგის უიღბლო დღეს. როგორც მოგვიანებით თავად არმსტრონგმა განაცხადა ასეთი ცუდი შედეგი ცხოვრებაში არ ჰქონია. იგი 168 ველომრბოლს შორის 140-ე ადგილზე გავიდა — ფოიგტს 27 წამით ჩამორჩა.

„ასეთი საშინელი დღე კარიერაში არ მქონია. არც თავს ვგრძნობდი ცუდად და ველოსიპედზეც გემრიელად ვიჯექი. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ [illegible] იყო. კიდევ იმის თქმა შემიძლია, რომ ციოდა" — განაცხადა რბოლის შემდეგ არმსტრონგმა.

მეორე ადგილზე გავიდა ახალგაზრდა შვეიცარიელი ფაბიენ კანსელარა, რომელმაც, სხვათა შორის, შარშან ივლისში, „ტურ დე ფრანსის" პროლოგში თვით ზემოხსენებული არმსტრონგი ჩამოიტოვა.

„ხმელთაშუა ზღვის ტურის შემდეგ ძალიან ბევრი ვიმუშავე, რათა დრო გამეუმჯობესებინა და, აი, მთელმა გუნდმა, CSC-მ მივაღწიეთ იმას, რომ პრო ტურის პირველი გამარჯვებული გავხდით" — თქვა იენს ფოიგტმა.

**ტუტა სიხარულიძე**

# გორული თადარიგი მუხის ფოთლების ჩამოსაყრელად

**შაბათს** თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, 2005 წლის ერთა თასის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა გაიმართება. საქართველოს ნაკრები აქამდე წაუგებლად მოსულ რუმინეთის დაუპირისპირდება და ბოლო წლებში განცდილი მარცხების გამო რევანშის აღებას შეეცდება.

„ბორჯღალოსნები" საამმატჩოდ გუშინ არასრული შემადგენლობით შეიკრიბნენ და გორის გზას დაადგნენ. რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, წინასარუმინეთო სამზადისს ნაკრები გორში გაივლის და დედაქალაქში თამაშის დღეს ჩამოვა. მწვრთნელების — მალხაზ ჭეიშვილისა და დავით ჩავლეიშვილის მიერ დასახელებული ოცდაორი სრულყოფილად დღეს დაიწყებს მზადებას. მამუკა მაგრაქველიძე, დავით ზერაქაშვილი, ავთანდილ კოპალიანი, გია ლაბაძე, ბესიკ უდესიანი, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი გიორგაძე და თედო ზიბზიბაძე თბილისში გუშინ ჩამოფრინდნენ.

დუეტის გარდა ეროვნულს სარუმინეთოდ პაატა ნარიმანაშვილიც მოამზადებს და საბოლოო პასუხსაც იმაზე, დაბრუნდება თუ არა მწვრთნელად, თამაშის შემდეგ იტყვის.

რაგბის კავშირის პრესსამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „მუხის ფოთლები" მატჩის წინა საღამოს ჩამოვლენ, თუმც საბოლოო შემადგენლობა ჯერ არ გამოუგზავნიათ და ჩვენც იმ ოცდაცხრა გვარ-სახელს დავჯერდეთ, სათბილისო ოცდაორში მოხვედრას რომ ეშურებიან.

**ოთარ გაღლაძელიძე**

| საქართველო | რუმინეთი |
|---|---|
| პირველი ხაზი: მამუკა მაგრაქველიძე, აქსენტი გიორგაძე, დავით ზერაქაშვილი, ავთანდილ კოპალიანი, მიხეილ სუჯაშვილი | პირველი ხაზი: პეტრუ ბალანი, იან პაულიცა, ჩეზარ პოპესკუ, მარსელ სოკაჩუ, მარიუშ ტინკუ, ბოგდან ბალანი, რაზვან მავროდინი, ბოგდან ზებეგა |
| მეორე ხაზი: ილო ზედგინიძე, ლევან დათუნაშვილი, მამუკა გორგოძე | მეორე ხაზი: კრისტიან პეტრე, სორინ სოკოლი, ჯორჯე ოპრიშორი, ფლორინ ტატუ |
| მესამე ხაზი: გია ლაბაძე, ზვიად მაისურაძე, რატი ურუშაძე, ბესიკ უდესიანი | მესამე ხაზი: კოსტიცა მერსოიუ, მარიან ტუდორი, ფლორიან კოროდიანუ |
| №9 — ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე | №9 — ლუჩან სირბუ, ვალენტინ კალაფეტიანუ, იულიან ანდრეი |
| №10 — პალიკო ჯიმშელაძე | №10 — იანუც ტოფანი, დარიუ კურია |
| უკანა ხაზი: ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ოთარ ბარკალაია, ლაშა ფირფილაშვილი, ზვიად კობერიძე | უკანა ხაზი: ვასილი მაფტეი, რომეო გონტინიაკი, გაბრიელ ბრეზოიანუ, იოან თეოდორესკუ, ვასილე გიოკი, კრისტიან საუანი, სტეფან დუმიტრუ, დანუც დუმბრავა, ვლად დანი |





გაჩრი კაპანაძის ფოტო

## დევისის თასი. მსოფლიო ჯგუფი. პირველი წრე

# ესპანელებმა თასი ვერ დაიცვეს

## ამერიკელებს კი თასი არც წლეულს უწერიათ



REUTERS

პოლ-ანრი მათიო იოაკიმ იოჰანსონთან გამარჯვების მერე ცად აისროლეს

**წლევანდელი** დევისობის პირველივე წრე კაი ლონიერი ბურთაობითა და ორი ეგზოტი მოულოდნელობით გამოირჩა. ამ ორში ამერიკელთა საშინაო და ესპანელთა საგარეო მარცხებს ვგულისხმობთ და — უკეთუ ჩვენ ამბებში ჩაუხედავი ბრძანდებით — აი, რატომ: იმიტომ, რომ ამერიკელებს პირველ წრეში საშინაო შეხლა დევისობის 105-წლოვან ისტორიაში ერთხელაც არ დაუთმიათ, ხოლო ესპანელები შარშანდელი ჩემპიონები არიან და ივარაუდებოდა, რომ ტიტულის დაცვას თუ არა, სადღაც ნახევარფინალამდე მისვლას მაინც იჩალიჩებდნენ.

უფრო დალაგებით კი ყველაფერი ასე იყო. ამერიკელებმა, რომელთაც თასი უკვე რახანია, ვეღარ მოეგოთ, ნაკრებში საგანგებოდ აწვიეს 35 წელს მიტანებული ლეგენდა ანდრე აგასი და სამი წლის წინათ ზაგრებში მათ მძლეველ ხორვატებს კალიფორნიულ სამოთხე კარსონში დაუხვდნენ.

მაგრამ საქმეს ვერც ბებერი ფაკირის ჯადომ უშველა, ვერც ადგილობრივ ქომაგთა ბარაქიანმა ყიჟინამ და ვერც ენდი როდიკის ძალუმმა მარჯვენამ — ეს ყველაფერი გაუფერულდა და დაიჩრდილა წლეულს რაღაც არაჩვეულებრივად მობურთალი ივან ლიუბიჩიჩის შთამბეჭდავი ჩოგნაობით. ლიუბიჩიჩმა, ვინაც წინა ორ თვეში უკვე ოთხ ფინალს უწია და 6 მარცხის წილ ამქრის საამსეზონრეკორდო 22 გამარჯვება დაიგროვა, პარასკევს სწორედ აგასის წაუმურდლა ხუთწლიანი დევისუქმობიდან მობრუნება, შაბათს მარიო ანჩიჩს შეეწყვილა და ძმებ ბრაიანებს 100-პროცენტიანი დევისმაჩვენებელი ჩაუგდო, კვირას კი გადამწყვეტ მატჩში ოთხსაათიანი განდაგანის შედეგად (ხუთი მარცხის შემდეგ ცხოვრებაში პირველად) აჯობა ენდი როდიკს.

რაც შეეხება ესპანელებს, მათი საპირველწრეო მარცხი ეგებ ნაკლებ გაგვიკვირდეს იმის გათვალისწინებით, რომ პირველ წრეში ისინი 2001 წელსაც დამარცხდნენ, როცა თავიანთი პირველი დევისტიტული უნდა დაეცვათ. კაროლ ბეკმა და დომინიკ ჰრბატიმ — მარტინ მარტინეკის დახმარებით — უკარლოსმოიო სტუმრებს ჩოგნები უკვე შაბათსვე მოუთავეს და სლოვაკეთის 12-წლიან დევისისტორიაში ნაკრები მესამედ გაიყვანეს მეოთხედფინალში.

სხვაფრივ — ავსტრალიამ და არგენტინამ უმოწყალოდ შემუსრეს, შესაბამისად, ავსტრია და ჩეხეთი და ნახევარფინალის საგზურისთვის ერთმანეთს 15-17 ივლისს ოზეთში დაერევიან. იმავე დღეებში ზედა აბზაცში ნახსენები სლოვაკები ჰოლანდიელებს დახვდებიან (რომელთაც უფედერერო შვეიცარიელთან სხენგ შალკენის ყოჩაღმა ბურთაობამ გაავაკებინა), ამერიკელთა მძლეველი ხორვატები რუმინელებს უმასპინძლებენ, ხოლო რუსები, რომელთაგან ორი მატჩი ჩაღიბად და ერთიც იუჟნისთან ერთად მარატ საფინმა მოიგო, პოლ-ანრი მათიოს მიერ გამეოთხედფინალებულ ფრანგებთან ურთიერთობას მისკოვში გაარკვევენ.

**სლოვაკეთი — ესპანეთი 4:1**

**დომინიკ ჰრბატი** — ფერნანდო ვერდასკო 6:3 6:4 6:7 (7:9) 6:3; **კაროლ ბეკი** — ფელისიანო ლოპესი 6:4 7:5 6:3; **ბეკი, მიხალ მარტინეკი** — ალბერტ კოსტა, რაფაელ ნადალი 7:6 (7:3) 6:4 7:6 (10:8); **კამილ ცაპკოვიჩი** — ვერდასკო 2:6 2:6; მარტინეკი — ლოპესი 6:0 6:7 (3:7) 6:4

**შვეიცარია — ჰოლანდია 2:3**

სტანისლას ვავრინკა — **პეტერ ვესელსი** 6:7 (12:14) 7:6 (7:4) 6:7 (7:9) 4:6; მარკო კიუდინელი — **სხენგ შალკენი** 6:7 (4:7) 6:4 3:6 7:5 2:6; **ივ ალეგრო, ჟორჟ ბასტლი** — დენის ვან სხეპინგენი, ვესელსი 5:7 4:6 7:6 (7:5) 7:5 9:7; ვავრინკა — **შალკენი** 6:1 2:6 4:6 6:2 7:9; **კიუდინელი** — ვესელსი 4:6 *ვესელსმა შეწყვიტა*

**ავსტრალია — ავსტრია 5:0**

** უეინ ართურსი** — იურგენ მელცერი 7:6 (7:5) 6:2 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** — ალექსანდერ პეია 6:2 6:3 6:4; **ართურსი, ტოდ ვუდბრიჯი** — ჯულიან ნოული, მელცერი 4:6 6:3 2:6 6:4 7:5; **კრის გუჩონე** — პეია 6:3 6:4; **ვუდბრიჯი** — მარკო მირნეგი 6:3 4:6 7:5

**არგენტინა — ჩეხეთი 5:0**

**გილერმო კორია** — ტომას ბერდიხი 6:3 3:6 6:0 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** — ირჟი ნოვაკი 4:6 6:2 6:3 6:4; **ნალბანდიანი, გილერმო კანიასი** — ტომაშ ზიბი, იან ჰერნიხი 6:3 4:6 6:1 6:2; **კორია** — ჰერნიხი 6:3 6:0; **აგუსტინ კალიერი** — ზიბი 6:2 6:4

**რუსეთი — ჩილე 4:1**

**მარატ საფინი** — ადრიან გარსია 6:1 3:6 6:3 7:6 (7:4); მიხაილ იუჟნი — **ფერნანდო გონსალესი** 6:7 (4:7) 7:5 3:6 6:7 (4:7); **საფინი, იუჟნი** — გარსია, გონსალესი 6:3 6:4 6:3; **საფინი** — **გონსალესი** 7:6 (7:4) 7:6 (7:5) 1:6 6:7 (3:7) 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** — პოლ კაპდევი 6:2 6:1

**საფრანგეთი — შვედეთი 3:2**

**პოლ-ანრი მათიო** — იოაკიმ იოჰანსონი 6:3 6:4 6:2; სებასტიან გროჟანი — **ტომას იოჰანსონი** 4:6 4:6 6:7 (1:7); **არნო კლემანი, მიშელ ლოდრა** — იონას ბიორკმანი, სიმონ ასპელინი 7:6 (7:5) 6:4 6:7 (4:7) 6:4; გროჟანი — **იოაკიმ იოჰანსონი** 6:3 1:6 4:6 1:6; **მათიო** — ტომას იოჰანსონი 6:1 6:4 6:7 (4:7) 6:4

**აშშ — ხორვატია 2:3**

**ენდი როდიკი** — მარიო ანჩიჩი 4:6 6:2 6:1 6:4; ანდრე აგასი — **ივან ლიუბიჩიჩი** 3:6 6:7 (0:7) 3:6; ბობ ბრაიანი, მაიკ ბრაიანი — **ანჩიჩი, ლიუბიჩიჩი** 6:3 6:7 (8:10) 4:6 4:6; **ბობ ბრაიანი** — როკო კარანუშიჩი 6:2 3:6 6:1; როდიკი — **ლიუბიჩიჩი** 6:4 3:6 6:7 (11:13) 7:6 (9:7) 2:6

**რუმინეთი — ბელარუსი 3:2**

ვიქტორ ჰანესკუ — **მაქს მირნი** 6:7 (6:8) 4:6 6:3 4:6; **ანდრეი პაველი** — ვლადიმირ ვოლჩკოვი 6:4 7:6 (7:2) 7:6 (7:2); პაველი, გაბრიელ ტრიფუ — **მირნი, ვოლჩკოვი** 6:7 (3:7) 3:6 4:6; **პაველი** — მირნი 6:1 7:6 (7:0) 4:6 6:3; **ჰანესკუ** — ვოლჩკოვი 7:6 (7:2) 6:4 7:6 (8:6)

# თამასა მაღლა მიდის

## რუსების საოცარი თავგადასავალი მადრიდში



REUTERS მადრიდიდან

ელენა ისინბაევა



სტეფან ჰოლმი

MADRID 2005 EUROPEAN INDOOR ATHLETICS CHAMPIONSHIPS

**მადრიდში** დარბაზის მძლეოსნობაში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა და მისი მთავარი მოვლენა რუსი ჭოკით მხტომელის, ელენა ისინბაევას მორიგი მსოფლიოს რეკორდი გახლდათ. ამჯერად ისინბაევა 4.90 მეტრს გადაევლო, ოღონდ ერთი საფრთხის წინაშე დგას — თუ ასე განაგრძო, მსოფლიოს რეკორდების მნიშვნელობას გააუფასურებს. ხალხი იფიქრებს, ეს ხომ ასეც უნდა იყოსო და ვინძლო მისმა ოქრომ აღარც იჩხრიალოს.

ეს, რასაკვირველია, ხუმრობით, თორემ სინამდვილეში, ჯერ ხეირიანად არც კი დამთავრებულ ზამთარში რეკორდის ზედიზედ ოთხჯერ გაუმჯობესება (თუნდაც დარბაზში და არა ღია სივრცეში) ფენომენალური შედეგია მანამდე ისინბაევამ დონეცკში, ბირმინგემსა და ლეივინში მაღლა ასწია მსოფლიოს თამასა, საერთოდ კი ეს ისინბაევას კარიერაში მე-13 მსოფლიოს რეკორდია.

„ჩემია ერთადერთი მეტოქე თავად თამასაა — თქვა ჩემპიონმა ტრიუმფის შემდეგ — ვგრძნობ, რომ ხუთი მეტრის დაძლევა შემიძლია და ყველა ღონეს ვიხმარ ბარიერი რომ დავძლიო".

საერთოდ კი მადრიდში ჩატარებული შეჯიბრება ყველაზე წარმატებით რუსებისთვის დასრულდა. მათ ცხრა ოქრო მოიპოვეს, მეორე ადგილზე გასულმა შვედებმა კი მხოლოდ სამი.

მასპინძლებმა და ესპანელებმა თავიანთ წილ ოქროს ჩემპიონატის მიწურულამდე უცადეს. წარმატებას წარმოშობით კუბელმა ხუან ლინო მარტინესმა სიგრძეზე ხტომაში მიაღწია, იგი 8,37 მეტრზე გაფრინდა.

სხვათა შორის, მარტინესის გამარჯვებამდე ცოტა ხნით ადრე დარბაზში შეკრებილი ესპანელი ქომაგები გვარიანად აღშფოთდნენ, როდესაც 4x400 მეტრზე ესტაფეტის დროს მათი ლუის ფლორესი თანალიდერმა პოლონელმა პიოტრ კლიმჩუაკმა მესამე წრის მიწურულს შეჯახებით წააქცია. პოლონელები მსაჯებმა შეჯიბრებიდან მოხსნეს, მაგრამ ესპანელებისთვის ეს დიდი შეღავათი არ ყოფილა, რადგან საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავეს.

ოქრო ოქროდ, მაგრამ ესპანელებმა უფრო დაბალი ხარისხის ჯილდოები მოიხვეჭეს. კერძოდ, 1 500 მეტრზე რბენაში კარლოს იგუერომ და რეიეს ესტევესმა (პირველი ევროპის დარბაზის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი გახლდათ, ხოლო მეორე ღია სივრცეში იმავე ტიტულის მფლობელი) შესაბამისად მეორე და მესამე პოზიცია დაიკავეს, ჩემპიონი კი უკრაინელი ივან ჰეშკო გახდა — დარბაზთა მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი.

სიმაღლეზე ხტომაში შვედი ოლიმპიური ჩემპიონი სტეფან ჰოლმი და რუსი ევროპის ჩემპიონი (ღია სტადიონებზე) იაროსლავ რიბაკოვი ორი საათის განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს. როდესაც თამასამ 2 მეტრსა და 40 სანტიმეტრზე აიწია, პირველ ცდაზე ორივეს მოეცარა ხელი, შემდეგ კი ჰოლმს გაუმართლა, რუსს კი არა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსი 800 მეტრზე რბენაში ჩემპიონი არ გამხდარა და, აი, ეს მადრიდში ლარისა ჩჟაომ შეძლო.

60 მეტრზე ვაჟთა თარჯრბენს კი ფინალში სამი სპორტსმენი გამოაკლდა. მიზეზი — ცრუსტარტი. საბოლოოდ, როდესაც შეჯიბრება ჩატარდა გაიმარჯვა ფრანგმა ლადჟი დუკურმა.

**ტუტა სიხარულიძე**

| ქალები | | დისციპლინა | ვაჟები | |
|---|---|---|---|---|
| კიმ გევაერტი (ბელგია) | 7,16 | 60 მ | ჯეისონ გარდნერი (დიდი ბრიტანეთი) | 6,55 |
| ივეტ ლალოვა (ბულგარეთი) | 22,94 | 200 მ | ტობიას იუნგერი (გერმანია) | 20,53 |
| სვეტლანა პოსპელოვა (რუსეთი) | 50,41 | 400 მ | დავიდ გილიკი (ისრაელი) | 46,30 |
| ლარისა ჩჟაო (რუსეთი) | 1.59,97 | 800 მ | დმიტრი ბოგდანოვი (რუსეთი) | 1.48,61 |
| ელენა იაგარი (რუმინეთი) | 4.03,09 | 1500 მ | ივან ჰეშკო (უკრაინა) | 3.36,70 |
| ლიდია ჩოიეცკა (პოლონეთი) | 8.43,76 | 3000 მ | ალისტერ კრეგი (ირლანდია) | 7.46,32 |
| სუსანა კალური (შვედეთი) | 7,80 | 60 მ თარჯრბენი | ლადჟი დუკური (საფრანგეთი) | 7,50 |
| რუსეთი | 3.28,00 | 4X400 ესტაფეტა | საფრანგეთი | 3.07,90 |
| ნაიდე გომეში (პორტუგალია) | 6.70 | სიგრძეზე ხტომა | ხუან ლინო მარტინესი (ესპანეთი) | 8.37 |
| ვიქტორია გუროვა (რუსეთი) | 14.74 | სამხტომი | იგორ სპასოვსკი (რუსეთი) | 17.20 |
| ანა ჩიჩეროვა (რუსეთი) | 2.01 | სიმაღლეზე ხტომა | სტეფან ჰოლმი (შვედეთი) | 2.40 |
| ელენა ისინბაევა (რუსეთი) | 4.90 | ჭოკით ხტომა | იგორ პავლოვი (რუსეთი) | 5.90 |
| ნადია ასტაპჩუკი (ბულგარეთი) | 19.37 | ბირთვის კვრა | იოაკიმ ოლსენი (დანია) | 21.19 |
| | | შვიდჭიდი | რომან სებრლე (რუმინეთი) | 6232 |
| კაროლინა კლუფტი (შვედეთი) | 4948 | ხუთჭიდი | | |



## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 22 თებერვალი - 10 მარტი

**XI ტური**

პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5
რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0:1
ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0,5
*გარი კასპაროვი (რუსეთი) — დაისვენა*




# ინდოელმა ლინარესს ინტრიგა დაანახვა

**მეთერთმეტე** ტურში გარი კასპაროვმა დაისვენა, ინდუსმა ვიშვანათან ანანდმა კი ფიდეს ჩემპიონ რუსტამ კასიმჯანოვს მოუგო და ლიდერთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა.

ანანდმა კასიმჯანოვთან თამაში სიცილიური დაცვით არჩია და მსუბუქი ფიგურებით იერიშისთვის იწყო მზადება. უზბეკმა მეტოქეს არ მიჰბაძა, თავისი საქმე მშვიდად გააგრძელა, ხელმწიფე საიმედოდ დააბინავა და მე-15 სვლაზე A ხაზიდან მიაწვა ინდუსს. ანანდმა თეთრების შესაჩერებლად რამდენიმე დამაბნეველი მანევრი განახორციელა, F ხაზის პაიკი წინ წაწია და მძიმე ფიგურებით დაარტყა მტერს. ინდოელის იერიშებმა, ფაქტობრივად, გატეხა კასიმჯანოვი, საერთოდ აურია გეგმები და ხელმწიფის ფლანგიდან ახალი იერიში მიიღო. დაბნეულ მოწინააღმდეგესთან ანანდმა წარმატებით განავითარა შეტევა, პაიკი ჩასათვლელი ხაზის წინ დასვა და 38-ე სვლაზე გამარჯვებისა დააქუხა.

აღსანიშნავია, რომ პარტიის ბოლოს კასიმჯანოვს ფიქრისთვის მხოლოდ 8 წუთი რჩებოდა.

ანანდმა ამ გამარჯვებით სუპერტურნირს ინტრიგა შეუნარჩუნა. დღეს ინდოელი აშკარა აუტსაიდერს, მასპინძელ ვალეხოს დაუპირისპირდება, შემდეგ კი კასპაროვს და თუ ორივე პარტიას მოიგებს, სახელოვან დიდოსტატს პირველ ადგილსაც ჩამოართმევს.

სიცილიური დაცვა გამოიყენეს ფიდეს რეიტინგში მოწინავეებმა, პეტერ ლეკომ და ვესელინ ტოპალოვმა. უნგრელმა მე-3 სვლაზე D ხაზის პაიკი გაუცვალა ბულგარელს და ხელმწიფის ფლანგიდან მიაწვა. ტოპალოვი ლაზიერის ფლანგიდან გააქტიურდა, ლაშქარი კი და ეტლი თეთრი მეფისკენ მიმართა და შეტევისთვის მოემზადა. ლეკომ ჯარის ნაწილი ხელმწიფის დასაცავად უხმო, წინ კედლივით დაუყენა და მე-19 სვლაზე ზავი გამოაცხადა.

**ლაშა გეგეჭკორი**



38-ე სვლაზე ანანდმა კასიმჯანოვის მეფე დაატყვევა

| | | |
|---|---|---|
| 1 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 6,5 ქულა/9 პარტია |
| 2 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 5,5/9 |
| 3 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 5/10 |
| 4 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 5/9 |
| 5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 4,5/10 |
| 6 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 3,9 |
| 7 | ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 3/9 |



# სავარჯიშო ყინული

კოლორადოს მთები განთქმულია. ეს ყინულოვანი კლდე, ოურის პარკში რომ წამომდგარა, ხელოვნურია და მთელი მსოფლიოს მეკლდეურებს პოპულარულ სავარჯიშო ალაგად აქვთ. განა ერთია ასეთი ადგილი ოურის პარკში, ასოთხმოცი.



REUTERS ოურიდან

# ბუზსაც გააქრობს

არა გვგონია, ავსტრიის მთებში, ჰოხფილცენში ბუზები იყოს, მაგრამ ბუზსაც კი ადგილზე დააციებს ბიატლონისტის ნასროლი. ეს რუსის მოთხილამურე-მსროლელი ოლგა ზაიცევაა, რომელიც 10-კილომეტრიან ბიატლონში ჩაბმულა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოც მოუგია.




REUTERS ჰოხფილცენიდან

# როსი და იამაჰა




ეს ახალი „იამაჰაა", ეს კი სუპერმხედარი ვალენტინო როსი. რომელიც ახალ მოტოს პრეზენტაციას უძღვება ტოკიოში. თავად იაპონიის დიდი პრიზი რბოლაში კი სექტემბერში გათამაშდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge